№ 1
1911

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი.

I—ღვთისმშობელი შვილით,—სურ. რაფაელისა . . . 1

II—იშვა ქრისტე, ლექსი გრიშაშვილისა 3

III—ბერიძე გაუტეხელი, — საშობაო მოთხრობა,—ვაჟა-
ფშაველასი 4

IV—მგზავრი, საშობაო მოთხრობა,—დ. ფედრებისელისა . 10

V—ეგვიპტეში გაქცევა,—სელმა ლაგერლეფისა,—(თარგ.)
განდეგილისა. 18

VI—ორი მხატვარი,—(დასასრული) თარგმ. დ. ავალიანისა. 23

VII—ნინო ივანეს ასული ქიქოძე,—ნინო ნაკაშიძისა . . 45

VIII—მ. ვ. ლომონოსოვი,—ნ. კიკალიშვილისა. . . . 48

IX—უმავთულო ტელეგრაფი,—(დასასრული) თარგმანი—დ.
ჯანაშვილისა. 52

X—ტროადის ომი,—ალ. მიქაბერიძისა 57

XI—გასართობი: აკროსტიხი, გამოცანა და რებუსი . . 23

ტფილისი, ელექტ.-მბჭედ. ს. ლოსაბერიძისა მოსკ. ქ., საკ. სახ. № 5.

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე.

დეკემბერი. 1911 წ.

ღვთისმშობელი შვილით,—სურ. რაფაელისა

სარჩევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I — ღვთისმშობელი შვილით, — სურ. რაფაელისა . . . 1

II — იშვა ქრისტე, - ლექსი კრიშაშვილისა 3

III — ბერიძე ვაუტეხელი, — საშობაო მოთხრობა, — ვაჟა-
ფშაველასი 4

IV — მგზავრი, საშობაო მოთხრობა, — დ. ვედრებისელისა . 10

V — ეგვიპტე'ში გაქცევა, — სელმა ლაგერლეფისა, — (თარგ.)
განდეგილისა. 18

VI — ორი მხატვარი, — (დასასრული) თარგმ. დ. ავალიანისა. 23

VII — ნინო ივანეს ასული ქიქოძე, — ნინო ნაკაშიძისა . . 45

VIII — მ. ვ. ლომონოსოვი, — ნ. კიკალიშვილისა. . . . 48

IX — უმავთულო ტელეგრაფი, — (დასასრული) თარგმანი — დ.
ჯანაშვილისა. 52

X — ტროადის ომი, — ალ. მიქაბერიძისა 57

XI — გასაგებობანი ალეგორიზმი, გამოცანა და რებუსი . . 23

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ТФИЛИСИ

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ს. ლოსაბერიძისა მოსკ. ქ. საკ. სახ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იშვა ქრისტე...

ხმაურდა ტბის ლერწამი,
ტბის ლერწამი ახმაურდა;
გასხლტა ნამი, ბროლის ნამი,
და ფოთლებზე გადაცურდა.

ახმაურდა... აღიღინდა
შორს, შორს სადღაც მწყემსის სტვირი
და ყვავილებს დააფრინდა
მონავარდე მთის ზეფირი.

ჩემო კარგო! მომე ხელი,
გვეყო ცრემლი, ცრემლი მწარე;
იშვა ქრისტე— ქვეყნის მხსნელი,
გაიხარე... გაიხარე!..

ი. გრიშაშვილი.

8559

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერიძე გაუტეხელი.

(საშობაო მოთხრობა ფშაველების ცხოვრებისა).



ობის წინა დღე იყო, ქარიანი და სუსხიანი მთაში, ხოლო ბარში რა ამინდი, როგორი ტაროსი იდგა, იმისი რა მოგახსენოთ. ქარი თოვლს, როგორც ბელტს, ისე ჰგლეჯდა, აჰქონდა და ჰაერში ხვავივით ანიავებდა; ძნელი გამოსაცნობი იყო, სთოვდა, თუ ქარბუქისაგან ატანილი, ატაცებული თოვლი ცვიოდა დედამიწაზე. მთის ბუნება ბობოქრობდა, ისმოდა ქარის სისინი, წივილ-ზუილი და ხანდახან ბუბუნი. მთის ბუნებას ვამბობ, თუმცა ბუნება აქ არსად აღარა სჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლ-ბუქში, კორიანტელში ამ ბუნების აბეზარობას ებრძოლა და მხოლოდ ერთი ადამიანი, მოხუცი, საიოც წელს გადაცილებული მგზავრს მიეღწია ულელ-ტეხილამდინ, მთის ყელამდინ, ის იყო უნდა სამშვიდობოს გადასულიყო, რომ ქარი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აწვებოდა მოხუცებულს და დაბლა ახეთქებდა; მოხუცი მაინც-და-მაინც წინ მიიწევდა, ფიქრმა — უკან დაბრუნდიო, ერთხელაც არ გაუელვა თავში; არც იყო ჩვეული უკან დახევას, რისთვისაც ხალხი „გაუტეხელს“ ეძახდა. მგზავრის ნაცნობებისათვის რომ გეკითხათ, მრავალს მაგალითს და შემთხვევას გეტყოდნენ მოხუცის შეუდრკელობისას, გაუტეხელობისას მტერთან თუ მხეცებთან ბრძოლის დროს. მგზავრმა ეს კარგად იცოდა და იმიტომ უფრო მაგრდებოდა, თითქოს სცხვენოდა სხვაფრივ მოქცევისა. ლაჩრულის ყოფა-ქცევით შეურაცხ-ყოფა არ უნდოდა მიეყენებინა იმ აზრისათვის, რაც ხალხსა ჰქონდა მგზავრის შესახებ.

„ეჰ, დაბეჩავებულხარ, ჩემო თავო“, — ამბობდა მუხლის კვერებზე წამომჯდარი მგზავრი, თანაც შუბს აბჯენდა, რომელიც მარჯვენა ხელში ჰქონდა მაგრა დაბღუჯული: „ვაჰ, დედასა მტრისასა, სიყმე აღარ არი ოხერი, ჯეელობის ფილფო დაკარგულა; მაინც არ გასტყდე, ჩემო თავო!“ სხვა გამამხნევებელი რომ არ მოიპოვებოდა, მგზავრი თავადვე ამხნევებდა თავის თავს.

დაბრუნება ან-კი როგორ შეეძლო? კაცი ხევის ბერი იყო. დღეს ღვთისმშობელში უნდა გამოცხადდეს, იქ უთიოს ღამე და ხვალ თანამდებობის ასრულებას შეუდგეს. მთამ დაბრკოლება აღუმართა წინ. მაგრამ ამ დაბრკოლებას სძლევს და ღვთისმშობელში ამაღამ დიდ ცეცხლს გააჩაღებს, სხვა მლოცავებთან ერთად მამა-პაპის ჩვეულებას აასრულებს: ღამეს საჯარეში გაატარებს; ხვალ შობა დღეა, მლოცავი მოვა ხატში, მოიტანენ ქადა-პურებს (ქადა და ხმიანდი), ბერიძემ უნდა დასჭრას, სამი წილი პატრონს მისცეს, მეოთხედი — ხატის მსახურს; მოიყვანენ საკლავებს, მოიტანენ კოშტ სანთელს, უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევის ბერმა „ჩამოჰქნას“ და მოანთოს, უნდა თვითოეული მლოცავი „დაამწყალობნოს“, ე. ი. დალოცოს ლუდიანის თასის აპყრობით და წარმოსთქვას: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელ რჯულ-ქრისტიანთასა! დიდება შენდა, ღვთისმშობელო ჩარგლისაო, რასაც გულზე და მხარზე შენი მოსამსახურე ყმა გეხვეწებოდეს, იმ გულზე და მხარზე შაიხვეწიე, შენი უღური მოახმარე, შენი კაბის კალთა დააფარე“ და სხვ. და სხვ.

როგორ შეიძლება, რომ ბერიძემ არ მოანთოს სანთლები ლუდიანს კოდებზე. იმან უნდა მისცეს ხალხს წესი და რიგი: როგორ დარიგდეს პური, ქადის ნაჭრები, ხორცი, ლუდი; უნდა ხევისბერმა აღმართოს და შეაჟღეროს დროშა. დიდს მიუტევებელს ცოდვას იზამს ბერიძე, თუ ყველა ეს წესი არ აასრულა წმინდად, უკლებლად. როცა დროშას დაინახავს ხალხი, როგორ აღტაცებულია, ცასა სწვდება ხალხის გრძნობის ტალღა, როგორც ელექტრონი, ისე გაურბენს დიდსა და პატარას ტანში სამღვთო ზე-აღმტაცი ფიქრები, ზოგნი პირქვე ემხობიან, ზოგი უნდა მივიდეს — ემთხვიოს დროშას, მაგრამ ეკრძალვის, არა სთვლის თავს ღირსად შაეხოს თავის უწმინდურის პირით, ან ხელით.

ყოველივე ეს საქმე იყო ბერიძის მიერ ასასრულებული, ხევის ბერს მოვალეობად ჰქონდა ქედზე დაჭდეული; თუ ეს წესები არ ასრულდებოდა, უნდა წაწყმედილიყო ერი და იმასთან ერთად თვით ხევის ბერი...

II

ხალხი ბერიძეზე იმასაც ამბობდა, როცა გაემართებოდა სალაშქროდა, წაუძღვებოდა წინ ლაშქარს ხელში დროშით ქისტეთის დასარბევად, ან სახლიდან ხატში წავიდოდა სამსახურის ასასრულებლად, — მუდამ ხევის ბერს ცაში, თავზე დაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნავს უზარ-მაზარი არწივიო და არც დაანებებს თავს, ვიდრე დანიშნულ ალაგას არ მიაღწევსო.

დღეს ბერიძის მფარველი არწივი ცაში აღარა სჩანდა, ციდან აღარ დაჰხაროდა ხალხისა და ხატის მოსამსახურეს, ერთგულს, თავდადებულს; არწივი ციდან ჩამოფრენილიყო, უხილავად შესჯდომოდა მხრებში დაღლილ-დაქანცულ ხევის ბერს და უადვილებდა განრისხებულ, გამწარებულ ბუნებასთან ბრძოლას. ბუნება ნამქერს პირში აყრიდა მგზავრს, სუნთქვას უძნელებდა, სულს უხუთავდა, მაგრამ ის მაინც წინ მიიწევდა და თან ღვთისმშობელ დედას ევედრებოდა თავის გულში: „დედა ღვთისმშობელო, მიშველე და შემძლებინე შენი სამსახურიო!“

ღვთისმშობელმა დედამ თითქოს შეისმინა ბერიძის ვედრება. ქარი ცოტახნობით შეჩერდა. ჯერ არ დაღამებულიყო, ერთი საათი კიდევ იქნებოდა. ბერიძემ უელტეხილს მიაღწია და გადიხედა მთის იქით; გამოჩნდა მისი სატრფიალო ღვთისმშობლის ხატი თავის ნანგრევებით, დარღვეულ ციხე-კოშკებით, დიდრონ დახავსებულ ლოდებით და ათასის წლის უზარ-მაზარ იფნის ხეებით დაჩრდილული. მგზავრმა თავისუფლად ამოისუნთქა, დაკრუნჩხულ ხელებით თეთრი ტყავის ქუდი მოიხადა და პირ-ჯვარი გამოისახა; ექვსის ვერსის, მანძილზე თავის სალოცავი მოიკითხა, სალამი მიართვა.

ხატის მიდამოს ჰხედავს ბერიძე. იქ თვითეული გოჯი მიწა ღვთისმშობლის საბძანებელია, მისი კვარცხლბეკი, წმინდათა-წმინდაა; ის დიდრონი იფნებიც თავით ბოლომდე სული წმინდით �-იან გარემოცულნი. არავის შეუძლიან იმათ ხელი, ან მახვილი შეახოს,—ერთი პატარა ტოტი მოსტეხოს; ვაი იმის ყოფნას, ვისაც გაუწყრება ღმერთი და ამას გაჰბედავს!.. ქარმაც რომ მოსტეხოს ამ წმინდა ხეებს ტოტი, იქვე ადგილობრივ უნდა დალპეს, არავის შეუძლიან წაიღოს და შეშად მოიხმაროს. აი, როგორ ძლიერია ბერიძის სათაყვანებელი სალოცავი!.. ღვთით, იქნება მიაღწიოს ხატში და არ ულალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოს თავის დანიშნულებას: აქამდის პირ-აღმა ჰქონდა სვალი ბერიძეს და თოვლი—საკვალი; ახლა პირ-თავქვე დაეშვება და, ღვთით, სიარულიც გაუადვილდება, მაგრამ ის ფერდა... ჰოო, გასავალი... ვითომ რაო? იქნებ ზვავი გადმოსკდეს? ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა. რაც ღვთისმშობელსა ნებავს, ის უნდა მოჰხდეს. ბერიძემ ვაჟკაცურად გადააბოტა და გადაეშვა პირ-თავქვე.

ქარი დრო-გამოშვებით კიდევ დაუბერავდა და ქედანივით ღუღუნით გაუვლიდა ყურებში; ნამქერი ახლა მგზავრისთვის საშიში არ იყო; აქამდის პირში ჰხვდებოდა, ვერაფერი დააკლო, ზურგში მიყრილი რას დააკლებდა?! ბერიძე უფრო გორ-გორის პირებს ეტანებოდა, ერიდებოდა დაბლობებს, მინამქრულ ადგილებს, სადაც თოვლში კაცი ყელამდე ჩავარდებოდა და რის ტანჯვა-წვალებით მოუნდებოდა თოვლიდან ამოსვლა. ბერიძე ადგილისა და ამინდის კვალად იყო ტანისამოსში გამოწყობილი. ჩოხა-ახალოხი დიდსა და განიერ შალვარში ჰქონდა ჩაყრილი, ანუ როგორც ფშაველები ამბობენ „შალვარში იყო ჩამჯდარი“, ფეხებზე ბანდულები (ხუჩები) ეცვა, რომ ფეხი კარგად მოეკიდებინა ყინულზე და არ დასხლეტოდა. თეთრი, მსხვილად ჩართული მატყლის საწვივეები—პაჭიჭები ეცვა. ხევის ბერი მაინც და მაიც არ იყო თვალწარმტაცად მორთულ მოკაზმული და მუდამაც ამგვარად, ეახლებოდა ამ დროს „თავის ღვთიშობელს,“ მაგრამ ხატს, კარგა რატომ არ მოირთეო, თავის დღეში არ მოუმიზეზებია და არც დაურბევია. ბოლო დროს, ვიდრე მრისხანედ დაყუდებულს ფერდას გაეკიდებოდა, ღრმა ხევს მოეფარა. უკანასკნელად ქუდის წვერი-ღა ჩნდა, რომელიც მრისხანედ ფამფალებდა, თითქოს ქუდიც ვისმე ემუქრებოდა, თუ მხოლოდ პატრონის გულის თქმას გამოიტყოდა? ბერიძის ქუდის მოძრაობა ამას ამბობდა: „ჩემს პატრონს ჯერ გული არ გასტეხია და არც გაუტყდება; რაც სანატრელი დაუსახავს, მუდამ იმ სანატრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისაკენ მიიწევს, ყოველგვარ დაბრკოლებას დაამხობს და გვ-
დაჭლახავს: თუ ეს ვერ მოახერხა, ერთი საშუალებაა მუდამ
ბერიძის ხელთ—უძლეველი დაბრკოლება დაიგოს ლოგინად
და ზედ თავად დაიძინოს საუკუნოდ“!..

III

მეორე დღეს, შობას, ხალხი შეგროვილიყო ხატში და
მწუხარე სახით და—ზოგი მათგანი თვალ-ცრემლიანი—გასაქ-
როდა იმ ფერდას, რომელზედაც ბერიძეს უნდა გამოევლო.
ზვავი მოხეთქილიყო; მოსული კაცის კვალიც შთაინთქა
ზვავში. „უეჭველია დაიღუპა ხევის ბერი, ის ბეჩავი. იმას რა
დააყენებდა მოუსვლელს, თუ ერთი რამ არ იყოს იმის თავსა!“
ამბობდა ხალხი, ხოლო ოცამდე კაცი ფერდას ქვეით ხევში და-
დიოდნენ ზვავზე, ეჭირათ გძელი ჯოხები და მაღლიდან სჩხვლეტ-
დნენ, რომ ეპოვნათ „ზვავისგან ჩამოგდებული ადამიანი.“
ის ბებერი, უზარ-მაზარი არწივიც თავს დასტრიალებდა იმ
ხეობას, სადაც ხალხი ეძებდა დაკარგულ ბერიძის გვამს.

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრი.

(საშობაო ამბავი)

ერთ ერეილ მოდილაშვილს ძლიერ უყვარდა სოფელი, ნამეტნავად ზამთარში.

— მიწა თეთრ ფაფუკ საბანშია ჩაფუთნული, ტკბილი სიცივე, აგუზგულზებული ბუხარი, კერაზე დიდი თეთრი კატა, ოითქო — არაკს ამბობსო. მშვენიერი მსუქანი დედალი სუფრაზე, ცივი, შინაური, ბუხართან ოდნავ გამთბარი ღვინო...

როცა მატარებელი დადგა სადგურზე, მიხეილმა თვალი გადაავლო ხალხის ჯგუფს, ჰიიხედ-ჰოიხედა, ვერ იპოვნა, ვინც ეგულებოდა და მოხუცებულ სოფლის კაცს ჰკითხა:

— ხომ არავინ არ არის აქა წაბლიანელი?

— არა, ბატონო. იქ მობრძანდებით? — ზრდილობიანად ჰკითხა გლეხ-კაცმა.

— იქ ვაპირებ, მაგრამ თუ იქაური არავინ არ არის, როგორ წავალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ, ბატონო? ჩვენ აქა არა ვართ? ურემიცა გვაქვს, მარხილიც და გზაც ვიცით.

მიხეილმა დაიგრიხა ჭალარა-ნარევი მოკლე ულვაშები,— და დაღონებულის ხმით უპასუხა:

— უნდა დამხვედროდა „ქაური კაცი... ნეტავი რა მიზეზია? ხომ არაფერი მოხდა-რა წაბლიანში?

— არა ბატონო, მშვიდობაა, გუშინ წინ გახლდით იქა, ლევანიც კარგად არის, სახლობაცა, შვილი მოუვიდა. მხიარულად არიან.

— რომელი?—გაეხარდა მიხეილს—სოლიკო თუ ირაკლი?

— სახელები-კი სწორედ არ ვიცი, ტუდენტიაო.

— ჰოო!—ჩაიღიმა მიხეილმა—სოლიკოა „ტუდენტი.“ მაშ, აბა, წამიყვანე, მხოლოდ ფასი-კი მითხარი.

— რასაც მიბოძებთ, მადლობელი ვიქნები.

— არა, ბიძია, სჯობს მოვრიგდეთ, რას აიღებ წაბლიანამდის?

ჰყინავდა. თუმცა ბეწვიანი პალტო ეცვა და ქუდი ეხურა, მიხეილს სციოდა, გლეხ-კაციც ებრალებოდა; ბევრი აღარ ილაპარაკა, ორ მონეთად მოურიგდა.

სიმონა გაიქცა მოყვითანო ბილიკზე და მალე გაჰქრა ლურჯ სივრცეში.

მიხეილი შევიდა სადგურში, დაკონკილ მაზარაში გახვეულმა პატარა ბიჭმა ბარგი შეუტანა და კარებში გაჩერდა.

პატარა ხნის განმავლობაში სადგურთან მარხილი მისრიალდა; მიხეილმა ფანჯრიდან დაინახა წითელ ხარების თავები და სიმონას ზურგი; ბიჭმა მარდად გაიტანა ხურჯინი და ჩემოდანი, ჩაალაგა მარხილში; მიხეილმა გაასწორა დასაჯდომზე დაფხრეწილი ფარდაგი, ჩაჯდა. აჩუქა ბიჭს ხუთი ახალი ორშაურიანი; ბიჭი სიხარულით გამოესალმა და გაიქცა.

ბინდ-ბუნდი იყო.

საშინელი ქარი ამოვარდა, თოვლი მოჰყვა და ერთ წუთში ისეთი კორიანტელი ადგა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთები და დედა-მიწა შეერთდნენო. თითქო ნადირი ღმუოდა, თითქო ვილასაც საშინელი დარდი მოაწვა გულზე და ქვითქვითებსო... ძაფივით წვრილი ხმა ოდნავ ისმოდა; მიხეილი, ხარები, სიმონა, მთელი მარხილი—სულ თეთრად იყო... რაღაც თეთრად მოცოცავდა თეთრ მინდორში. მგზავრს და სიმონას სული უგუბდებოდათ...

— ბატონო... ეს... კორიანტელი... არა ხუმრობს... საქონელი დამეხოცება...

— ჩვენ-კი გადავრჩებით?—უპასუხა მიხეილმა.

— მეც ეგ უნდა მომეხსენებინა... ცუდი ამინდი დაგვიდგა... წაბლიანამდინ შორს არის...

— თავი შევაფაროთ სადმე...

თეთრ ფრთებ-გაშლილი კორიანტელი ყინულივით ცივ თოვლს აყრიდა მიხეილს, სიმონას და ხარებს.

საცოდავი პირუტყვი გადაადგამდა ორ-სამ ნაბიჯს, ჩაიფლეთოდა თოვლში, დადგებოდა... ქვევით, ზევით, გვერდებზე,—სუყველგან გაუთავებელი ცივი სითეთრე იყო გაშლილი.

თითქო ღამე დაბერდა და გათეთრდაო... შორი-ახლო ამ სითეთრეზე ყვითელი წერტილი გამოჩნდა.

— ბატონო!—შესძახა სიმონმა მიხეილს: — მგონი ჩემი ნათლი-მამის ქოხია... იმასთან წავიდეთ... თუ იკადრებთ.

— ღამის დაგვახრჩოს კორიანტელმა, — უპასუხა მიხეილმა—და რა დროს კადრულობაა?!.

— ხიი,—ხიიი!..

მაგრამ ხარები არ იძვროდნენ.

ჩამოხტა სიმონა, გაიძრო მაზარა, ხარებს გადააფარა, თითონაც შეჰყო თავი და დაუწყო კისრების სრესა; ხან ჩაორთქლა, და შვილებსავით მიუალერსა.

— ხი,—ხი!—თითქო სთხოვდა წამოდითო სიმონა პირუტყვებს. რამდენსამე წუთს იდგნენ შუა გზაში გაშტერებულნი, გაფიჩხებულნი; მერე სული მოიბრუნეს, ფეხი გადადგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კორიანტელმა კიდევ დაჰკრა მარხილს თეთრი მაგარი ფრთები...

თითქოს ბავშვის უნუგეშო ტირილი, კატების კნავილი, ნადირის ღმუილი, ვილასიც გაუთავებელი ხარხარი ისმოდა მარხილის გარშემო.

ნიკოს ქოხი ტრიალ მინდორზე, პატარა წისქვილის გვერდით იდგა.

ძაღლებმა გაიგეს მარხილის ჭრიალი და ასტეხეს ყეფა. სახლის პატრონს ცოტა შეეშინდა, ოდნავ გააღო შავი კარები, და შეეხმაურა:

— ვინა ხარ?

რაღაც თეთრად მიცოცავდა პირდაპირ ნიკოს ქოხისაკენ, ძაღლები აღარ ცხრებოდნენ.

— ნეტავი ვის გაუწირავს თავი, რომ ამ კორიანტელში მოდის?—უკვირდა ნიკოს; საჩქაროდ ჩაიცვა მაზარა, თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა, ხელში ჯოხი აიღო და გარეთ გავიდა.

— შინა ხარ, ნათლი მამ?

ნიკომ ხმა ვერ იცნო და ჰკითხა:

— მა სად ვიქნები? ვინა ხარ?

— ვინა და—შენი სვინა, სიმონა.

— სიმონა?—გაუხარდა ნიკოს და მიეგება.

— წაბლიანში მიმყვანდა ლევანის სტუმარი,—დაგვიღამდა, თან ეს ბუქი ასტყდა. ბინა მოგვეცი დილამდის, დილაზედ გზას გავუდგებით.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ... ხომ იცი... არა ვართ გამართულები... უბრალო ხომ არ იქნება ბატონის სტუმარი.

— არა უშავს-რა, ოღონდაც ბინა მიეცი; განა არ ეცოდინება ჩვენი გაჭირვება?

— კარგი, როგორმე მოვთავსდებით. მოიყვანე მგზავრი,— დაბალი ხმით უთხრა ნიკომ, და შევიდა თავის ქოხში.

— აბა, ქალებო, ადექით, ჩვენ სიმონას ვილაც დიდი კაცი მოჰყავს ლევანთან; ძლივ აქამდის მოაგნეს, ბუქისა ეშინიათ; ვერ წავლენ, დილამდის ბინა უნდა მივცეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩქაროდ ადგნენ ნიკოს ცოლი და ორი გასათხოვარი ქალი, აანთეს ლამპარი, მიალაგ-მოალაგეს იქაურობა, ბუხარში ჯირკვი შეაგდეს, დაფერფლილ ცეცხლს შეუბერეს, ააგუზგუზეს ბუხარი, ბავშვები-კი ტკბილ ძილში იყვნენ; ეცოდებოდათ, ვერ გააღვიძეს.

— მობძანდით, ბატონო! — ეპატიჟებოდა ნიკო მიხეილსა.

— გმადლობ, თოვლიანი ვარ; პალტოს გავიხდი, მერე შემოვალ.

— არა, არა, მანდ ნუ გაიხდით: შეგცივათ; შემობძანდით.

მიხეილს ძლიერ სცოდა, უარზე აღარ იყო.

ნიკომ მარდად გაიხადა პალტო, ჩამოართვა ქუდი, გაბერტყა კარში, მიიტანა და ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

სიმონა თავის ხარებით მეწისქვილესთან წავიდა.

ქალები, სანამ მიხეილი ბუხართან თბებოდა და თან ნიკოსთან მუსაიფობოდა, თავდარიგს შეუდგნენ, რომ კარგად მიეღოთ და დაებინავებინათ მოულოდნელი სტუმარი. გააბეს თოკი, ამოიღეს სუფთა ჩარსავი, შუაზე გაჰყვეს პაწია ოთახი, ფარდის იქით ტახტზე, საცა იწვნენ ქალები, საუკეთესო ლოგინი გაუშალეს სტუმარს, მერე იმ ტახტზე, რომელიც ფარდის აქეთ იდგა — თავში პატარა ბიჭებს ეძინათ — ბოლოში-კი გაშალეს ლურჯი სუფრა.

ნიკო გაექანა მეწისქვილე სოსიკასთან!

— თუ ძმა ხარ, ერთი ჩარექა არაყი მომეცი, სტუმარი მყავს: ნუ შემარცხვენ; იმ კვირია შეშას გავყიდი და მოგცემ ფულს.

სანამ ვახშამს ამზადებდნენ, მიხეილი იჯდა ბუხართან დაღონებული, ჩაფიქრებული.

დიდი ხანია ასე ახლოს, როგორც ამალამ, არ ენახა ჩვენის გლეხის ცხოვრება.

რაში ეტყობოდა ამ ოჯახს ან ქრისტიანობა, ან რომ დღეს შობის საღამო იყო. ხვალ, შობას, ზეგ, მაზეგ, დიდ ორშაბათს, აღდგომას — მუდამ ამ ქალების ტანზე ეს დაკონკილი

კაბები იქნება; მუდამ ეს გაშავებული ბუხარი, გამურული ქოთანი; კიდევ მადლობა ღმერთსა, თუ ლობიო აქვთ. კერაზე ბავშვების დაგლეჯილი ქალამნები ეყარა. ამას ჩაიცვამენ ხვალ, დიდ დღესასწაულს, როცა მიხეილის დის-წულები თბილისში თავიდან ბოლომდინ სულ ახლებში იქნებიან გამოწყობილნი. შობის დღეც ისე დადგება ამ საცოდავ ბავშვებისთვის, როგორც სხვა დღე. ხვალაც ასე დაეყრებიან ამ ტახტზე, როგორც დღეს.

მიხეილის აზრები თბილისში გადაფრინდა: თვალ-წინ დაუდგა დის ოჯახში ლამაზად დალაგებული დიდი სასტუმრო ოთახი, გაკაშკაშებული ხომლი, ოქროს კაკლებით მორთული ნაძვის ხე, სანთლებით გაჩაღებული, სულ მაღლა წვეროზე დიდი ვერცხლის ვარსკვლავი, სხვა-და-სხვა სათამაშოები; შოკოლადი, ხილი, ფორთოხალი, კოხტად ჩაცმული ბავშვები, სიმღერა, ცეკვა-თამაში, შემდეგ ვახშამი. ან ბავშვების თეატრი, კონცერტი — ქალაქის ბავშვებს ამ დღესასწაულში ბევრი სიამოვნება აქვთ, — განა თუ შეძლებულ დედ-მამის შვილებს, ღარიბების შვილებსაც-კი. მიხეილს მოაგონდა, რომ იმ კვირია სამი მანეთი შესწირა თბილისის მასწავლებელთა საზოგადოებას, რომელმაც ქუჩის ბავშვებისთვის შობის ხის გამართვა იკისრა. დასცქეროდა მძინარე ბავშვებს და გულმოკლული ეკითხებოდა თავის თავს — ამ საცოდავებს-კი ვინ გაახარებს ხვალ? ახალ წელიწადსა? როგორ უნდა იგრძნონ ამაღამ, რომ მილიონი ხალხი ხვალ ღაღადით მოიგონებს დიდებულ მასწავლებლის დაბადებას, რომელმაც ანდერძად კაცთ-მოყვარეობა დაგვიტოვა, რომელსაც ყველაზე მეტად ბავშვები უყვარდა.

— შობა უფრო ბალღების დღესასწაულია, ფიქრობდა მიხეილი.

გაცხელებული ლობიო, ნაკვერჩხალზე შემწვარი ხახვი, თორნის პური, სოფლური ბოლის სუნიანი არაყი — მეტს რას მიართმევდა სტუმარს ნიკო?

მაგრამ — ნათქვამია — ღარიბის ლუკმა ტკბილიაო; ისე გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანად მიირთვა ეს მცირე ვახშამი მიხეილმა, რომ თბილისის ძვირფასი საღილები, როცა სუფრაზე ახალი ხიზილალა, შემწვარი ხოხბები ყოფილა—ისე არ შეურგია.

— ღმერთმა გაცოცხლოს, ნიკო!—აიღო მიხეილმა ხელში ყანწი:—მადლობელი ვარ, რომ შენს სახლში თავი შემაფარებინე, თორემ მეცა და შენი სვინაც გზაში დავიღრჩობოდით.

— უკაცრაოდ, ბატონო: ვერ დაგხვდით ისე, როგორც ეკუთვნოდა თქვენ ღირსებას...—შეკრთომით ეუბნებოდა ნიკო სტუმარსა—ხომ მოგეხსენებათ, მარტო ხელი გახლავართ.

— რად სწუხდები? დიდად გმადლობ. ღმერთმა მოგცეს სიკეთე, გიცოცხლოს ცოლ-შვილი; გმადლობ, ჩემო ნიკო; თუ თბილისში მოგიხდეს ჩამოსვლა, მნახე; მეც გადაგიხდი პატივის ცემას.

მიხეილი ადგა, გაიარ-გამოიარა ქოხში, მერე პორტმონე ამოიღო და ნიკოს უთხრა:

— ცოტა შიშიანობაა თქვენ მხარეს, - ავაზაკები დაძრწიან: სულ მცირე ფული წამოვიღე თანა; აი, ეს შენ ოჯახს მოახმარე; ვწუხვარ, რომ მეტის მოცემა არ შემიძლიან.

როცა მიხეილის ხელში ლურჯი ხუთ-მანეთიანი დაინახეს, საბედო, იმისი ორივე ქალები ჯერ გაშტერდნენ, მერე გაწითლდნენ და გამხიარულებული შავი თვალები შეანათეს ერთმანეთს.

ნიკომ აღაპყრო ორივე ხელი, შეჰხედა გაშავებულ ჭერს და ღრმა გრძნობით სთქვა:

— უფალო, მიცოცხლე ჩვენი ბატონი, რომელმაც ასე გაახარა ჩემი ოჯახი.

მერე მივარდა, და თუმცა მიხეილმა არ მიუშვა, მაგრამ ნიკომ მაინც დაიჭირა იმისი ხელი და აკოცა.

— რასა შვრები, მღვდელი ხომ არ ვარ?— დაღონებით გაიღიმა სტუმარმა.

. . . . . .

ხურჯინი და ჩემოდანი ფარდის იქით მიუტანეს მიხეილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით ადრე გაიღვიძა მიხეილმა, აანთო ლამპარი, გაიხსნა ბარგი და ცოტა ხანს უკან ისევ შეჰკრა.

მზემ თავი ამოჰყო ღრუბლებში, თოვლი თვალსა სჭრიდა ადამიანს. მარხილი უკვე შებმული იყო.

როცა მგზავრი გააცილეს, ქოხში შემოვიდნენ და ბოლჩა გახსნეს, საშინლად გაუკვირდათ.

ახალმა სიხარულმა აიტაცა მთელი ოჯახი. ბოლჩაში ბარათი იპოვნეს.

„კიდევ ვიხდი დიდ მადლობასა, ჩემო კეთილო მასპინძლებო! რაც ამ ბოლჩაში იპოვნოთ, თქვენს შვილებს მოახმარეთ“...

სხვა-და-სხვანაირი კამფეტები, თაფლის კვერები, რომლებზედაც გადაკრული იყო ლამაზად დახატული ბავშვები, ოთხი ცალ-ცალკე დაჭრილი მხიარული ფერის ბამბაზია, სამი თავშალი, ლამაზად იყო ჩალაგებული თეთრ ტილოში.

რაც მიჰქონდა მიხეილს ძვნად წაბლიანში, იქიდან წილი დაუდო ამ საცოდავებსაც.

— ლევანის ოჯახს რა აკლია?! ეუბნებოდა თავის თავს მიხეილი: — დღეს ისეთი ხარჯი ექნება, რომ ასი კაციც მიუვიდეს სტუმრად, აინუნშიაც არ ჩაიგდებს... ცოტა მაინც გაიხარონ ამ საცოდავებმა! — აგონდებოდა მიხეილს თავისი მასპინძლები.

ნიკო, საბედო, მათი შვილები იდგნენ ღობესთან და გაჰყურებდნენ ლურჯ სივრცეს, სადაც მარხილი საკვირველის მგზავრით თვალს მიეფარა.

„ადამიანის შვილი იყო, თუ მოჩვენება... ანგელოზი“?..

მზის სხივებში თოვლი ბრჭყვინავდა, თითქოს დამდნარი ვერცხლი გადაესხათო...

ამ ქოხის გარშემო თითქო ბუნებაც ღიმებოდა...

დ. ვედრებისელი.

ეგვიპტეში გაქცევა.

(ლეგენდა).

ორ აღმოსავლეთის მწირ უდაბნოში იდგა ბზა, მეტად ხნიერი და მეტად მაღალი...

მგზავრები რომ გაივლიდნენ ამ უდაბნოში, გაჩერდებოდნენ ბზასთან და შეჰყურებდნენ... სტკბებოდნენ იმის ცქერით. ბზა უკვე ათასის წლისა იყო, მაგრამ ფოთლები ისევე ახალი და გვირგვინიც ისევე მშვენიერი ჰქონდა, როგორც ახლად აღმოცენების დროს.

ბზა ამშვენებდა ამ უდაბნოს... და უეცრად იმისი ფოთლის მძლავრი გვირგვინი შეტოკდა... ბზამ დაინახა ორი მგზავრი — ქალი და კაცი. ამ მგზავრებს არც წინამძღოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდათ, არც საბარგე საქონელი, არც კარავი, არც წყლიანი სავსე დოქი.

ეს ადამიანები იმიტომ მოსულან აქა, რომ ამოსწყდნენ,—გაიფიქრა ბზამ და ელვის სისწრაფით გადაავლო მგზავრებს თვალი.—საშინელი სიკვდილი მოელით ამ უბედურებს.—გველები დაჰკბენენ, ლომები ლუკმა-ლუკმა დაჰფლეთენ მაგათს სხეულს, წყურვილი გულ-მკერდს ამოუშრობს, ქვიშათა მთები დაჰფარვენ მაგათ ლეშს, მზე დასწვავს და დახრუკავს მაგათს ტანს...

ქალს ხელში ეჭირა ბავშვი, რომელსაც თავი დედის მხარზე გადაედო და გულიანად ეძინა.

— ძლივს აქვს ტანი დაფარული,—ფიქრობდა ბზა,—უთუოდ დედა გადმოიხვეწა და ველარ მოასწრო შვილის ტანსაცმელის წამოღება... ქმარი სამუშაოდ იყო წასული, ბავშვს ეძინა, ცოლი წყლის მოსატანად გამოვიდა, ორიოდე ნაბიჯით გასცდა თუ არა სახლსა, დაინახა მიახლოვებული მხედრები. ქალი უკანვე გატრიალდა, წამოავლო ბავშვს ხელი, გასძახა ქმარსა და გზას გაუდგა. დღე და ღამ შეუსვენებლივ გარბოდნენ, მტერს ემალებოდნენ.

— ისე შეშინებულნი არიან, რომ ვერც დაღლილობასა ჰგრძნობენ და ვერც საშინელს ტანჯვას, მაგრამ თვალებზედ ვამჩნევ, რომ საშინლად სწყურიანთ.

— რომ შემეძლოს რჩევის მიცემა, დავაჯერებდი, უკანვე გაბრუნებულიყვნენ. თვით უბოროტესი მტერიც-კი ვერ გამოიჩენს მაგათთან ისეთს სისასტიკეს, როგორსაც ეს უდაბნო...—ბზა ხმა-მაღლა ამბობდა ამ თავის ფიქრს.

— მე მესმის არა ჩვეულებრივი მელოდიური შრიალი ჩემს თხემზე. ფოთოლთა წვეროები თითქოს თრთიან... რა გამოუთქმელის სიხარულის გრძნობა მიპყრობს ამ უცხო მგზავრთა დანახვაზე... რა მშვენიერებაა ეს უბედური ქალი!.. რა მომხიბლავია ეს ლამაზი ბავშვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბზას თვალ-წინ წარმოუდგა ძველი, დიდის ხნის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროდიმ ბრძანა ამოეწყვიტნათ ყველა ბავშვი ორი დან-ორ-ორ-ამ-ის წლის ხნისანი, რომელთა შორისაც მოჰყვებოდა იუდიანთა დიდებული მეფე.

— უმჯობესი იყო შინვე დავრჩენილიყავით, და მხედართათვის შეგვეკლა თავი, ვიდრე აქ გადმოვხვეწილიყავით—მოესმა ბზას.

— იქ სიკვდილი უფრო ნაკლებ მტანჯველი იქნებოდა, ვიდრე აქ, უდაბნოში წამებით აღსრულება...

— ღმერთი იქნება ჩვენი მხსნელი!—უპასუხა ქალმა.

— ჩვენ აქ უპატრონოდა ვართ, მარტონი, ნადირთა და გველთა შორის. საჭმელი არა გვაქვს და სასმელი... რანაირად შეუძლიან ღმერთს ჩვენი ხსნა...

მგზავრი სიმწრით სამოსელს იგლეჯდა, განწირული ეწყვეტებოდა მიწას...

ქალი წყნარად იჯდა, მუხლებზე ხელებ შემოწყობილი, მაგრამ იმისი მდუმარე გამომეტყველება, უდაბნოსაკენ მიმართული თვალთა ხედვა, აღსავსე იყო უნუგეშო ვაებითა და განუსაზღვრელის სასოწარკვეთილებით.

ფოთოლთა სევდიანი შრიალი ეფრო და უფრო მატულობდა და ქალმა ზემოდ აიხედა.

— ფინიკი, ფინიკი!...—სიხარულით წამოიძახა ქალმა.

ქალის ხმაში ისეთი ტანჯვა გამოისმოდა, რომ ბზა სულითა და გულით სწუხდა და ნანობდა, რომ ასე მაღალი იყო. ოჰ, ეს რომ დაბალი ბუჩქი იყოს და ამისი ფინიკებიც ისევე ხელმისაწვდენნი იყვნენ, როგორც ქაცვები!..

მგზავრები ჰხედავდნენ, მიუწდომელ სიმაღლეზე კონწიალებდნენ ფინიკები...

და მინდორზე მოთამაშე მშვენიერმა ბავშვმა მაღლა აღაპყრო თავისი მოელვარე თვალები.

— ბზავ, დაიხარე!

და აი სიკვირველება! ბზის ფოთლები გრიგალის მზგავსად ახმაურდნენ, მთელი ხე შეტოკდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზამ იგრძნო, რომ ბავშვმა ძლიერი გავლენა იქონია. უხილავი ძალა ძირს ეწეოდა იმის გვირგვინს... და გვირგვინი უდაბნოს ქვიშას დაემხო...

მგზავრები აღტაცებულნი მისცვივდნენ ბზას და სიხარულით სწყვეტდნენ ნორჩ, წყლიან ფინიკებს, რომლითაც იკლავდნენ წყურვილს.

— ბზავ, აღიმართე! აღიმართე, ბზავ! — წარმოსთქვა ბავშვმა...— და უზარ-მაზარი ხე ნელ-ნელა აღიმართა, მისმა ფოთლებმა-კი ქნარის მზგავსად გაიწკრიალეს.

როდესაც სხვა ქარავანმა გაიარა ამ ადგილას, ახალმა მგზავრებმა შენიშნეს, რომ ბზას თხემი ჩამოსჭკნობოდა.

— როგორ უნდა მომხდარიყო ესა?—სთქვა ერთმა მგზავრთაგანმა: - ეს ბზა არ უნდა გახმეს იმ დრომდე, ვიდრე იუდიანთა ქვეყანა არ იხილავს მეფეს, სოლომონზე უფრო უდიდებულესს.

— უკვე იხილა,—უპასუხა მეორემ...

განდეგილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მხატვარი.

(დასასრული).



ი, ახლა-კი დავიღუპეთ, თუ რომ ვინმე გარეშემ დაინახა ეგ სცენა! —ეს იყო მარიანას პირველი ფიქრი; ამგვარმავე ფიქრმა გაუელვა თავში თვითონ ფრეიდენბერგსაც. რამდენსამე წამს შემდეგ, მივიდა კატოსთან და დაითანხმა, ძმასთან ერთად ოთახში შედითო.

ამავე დროს მოხუცმა, კატოს ხმა რომ გაიგონა: „ფრიდლი, ჩვენი ფრიდლი ბაღშიაო“—ხელის ფათურით დაიწყო ოთახიდან კარის ძებნა და მბიჩქაროდა შვილის შესახვედრად.

ფრიდლი-კი, მოხუცი რომ დაინახა, ჯერ ცოტათი შეშინდა და უკან უნდოდა დახეულიყო; მაგრამ, როდესაც მამამ ხელები გაუწოდა და ტკბილის ხმით მღელვარებისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა: „ფრიდლი, ჩემო საყვარელო ფრიდლი!“-ო, მაშინ-კი მიუახლოვდა მამას, გადაეხვია და ატირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ კარგად მომექცევი? ცემას ხომ არ დამიწყებ? — გულამოსკვნილის ტირილით ამბობდა ფრიდლი და უკოცნიდა მოხუცს გამხდარს, დანაოჭებულ სახეს.

— არა, არა, საყვარელო ფრიდლი! მიუგო დასამშვიდებლად მოხუცმა მინდმა, რომელიც ცრემლობდა შეეკავებინა ცრემლები; — არა, მიყვარხარ! ჩემი საყვარელი შვილი ფრიდლი ხარ!

სანამ მოხუცი მინდი შვილს ამგვარად ელაპარაკებოდა, კატო ცოტათი მოშორდა იმათ და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ბევრგან ფანჯრის გატეხილ მინაზე პირისახე და ხელები დაეჭრა. სრულიად მოულოდნელად ფანჯრიდან ბაღში მოსეირნე ფრიდლი რომ დაინახა, კატო ისე გაჰკვირდა და გაეხარდა, ბევრი აღარ უფიქრია, ჰკრა თავი ფანჯრის მინას, გატეხა და შემდეგ, თუმცა ლოყებიდანა და შუბლიდან სისხლი გადმოსდიოდა, უცბად ბაღში გავარდა. ახლა-კი ფეშტამლით მოიწმინდა სახე და ხელები და ისევ მივიდა მამასთან და ძმასთან. ამ ამბის შემდეგ ფრეიდენბერგი ადვილად მიჰხვდა, სახელოვანი „კატის მხატვარი“ მოხუცის მინდის შვილიაო და მისი საიდუმლო ახლა ადვილად შეიძლებოდა გამჟღავნებულიყო.

როდესაც რამდენიმე ხანი გავიდა და ყველანი ცოტათი დამშვიდდნენ და გონს მოვიდნენ ამ მოულოდნელ შემთხვევის შემდეგ, მოხუცი მინდი შვილებიანად ისევ იმ ოთახში წაიყვანეს, სადაც კატოსთან ერთად ღამე გაათია. იქ მოხუცმა უამბო ფრეიდენბერგსა და მარიანას თავის ცხოვრების მთელი ისტორია: ფრიდლის გადაკარგვა, თავისი ყოფნა სამუშაო სახლში, სამწუხარო შეხვედრა კატოსთან და ბოლოს მხიარული ნახვა ფრიდლისა.

მოხუცი ამას დიდის გრძნობით ამბობდა, თითქმის ტიროდა და ყველა ამ უბედურების უმთავრეს მიზეზად თავის თავი მიაჩნდა; ფრეიდენბერგი მაინცა-და-მაინც დიდის ყურად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებით არ უსმენდა მოხუცს. უმთავრესი აზრი, რომელსაც ახლა მხატვარი მოეცვა, ის იყო, რომ, რაც შეიძლებოდა, უკეთესად მოეწყო თავისი საქმე და თავიდან აეცილებინა ყველა უსიამოვნება, რაც ადვილად შესაძლებელი იყო დასტეხოდა თავს ფრიდლის დამალვისათვის იმ დროს, როდესაც პესტალოცი დიდხანს მეტად გულმოდგინედ ეძებდა ბავშვს „ახალ-ეზოდან“ გაქცევის შემდეგ.

— დღეს მეტს აღარ შეგაწუხებთ, — სთქვა ფრეიდენბერგმა, როდესაც მოხუცმა გაათავა თავისი მოთხრობა: — სამივეს შეგიძლიათ ჯერ ამ ოთახში დარჩეთ, შემდეგ-კი უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ მოვიქცეთ მომავლისათვის.

ესა სთქვა და ფრეიდენბერგი თავის ოთახში გავიდა; ჩვენი ნაცნობები-კი ძლიერ მხიარულნი იყვნენ, რომ მარტოდმარტო დარჩნენ.

მოხუცი მინდი ახლა სრულიად ბედნიერადა ჰგრძნობდა თავს, ფრიდლის რომ ჰხედავდა, რომელიც დიდი ხანია, დაღუპული ეგონა. საბრალო ბავშვიც ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ გვერდით მისი საყვარელი კატო უჯდა: ხელი მოეხვია დისთვის და, რამდენადაც-კი შეეძლო, ცდილობდა ეამბნა თუ სად იყო, რას აკეთებდა და რა ნახა შინიდან გაქცევის შემდეგ. თუმცა ამ საცოდავ კრეტინის მოთხრობა ხშირად გაუგებარი იყო: ხანდისხან მთელი წინადადება მხოლო ერთის სიტყვით გამოიხატებოდა, რომელსაც სხვადა-სხვა გვარად ხელების ქნევა და შლა ემატებოდა, — მაგრამ, მაინც, კატოს მშვენივრად ესმოდა ყველაფერი, რაც მის საყვარელ ძმას უნდოდა ეთქვა მისთვის; და თუ რამ ვერ აღწევდა მის ყურამდის, — რადგან ფრიდლი ლაპარაკს ვერ ახერხებდა, — ამას კატო თავის მოყვარულის გულით გრძნობდა.

სანამ ფრიდლი ამ გვარად ემუსაიფებოდა მამასა და დას მიჩენილს ოთახში, ფრეიდენბერგი ცოლთან ერთად თავის სამუშაო ოთახში იჯდა და სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერში-კი თვითონ შენა ხარ დამნაშავე! — დაიწყო გულ-მოსულმა მარიანამ: — ფრიდლი რომ სასეირნოდ ბალში არ გაგეშვა, ვერც მამა და ვერც და ვერ დაინახავდნენ. ახლა-კი თავს თუ ჩამოვიხრჩობთ, თორემ მეტი გზა აღარ დაგვრჩენია: ყველა ჩვენს უშვერად ლანძღვა-გინებაში იქნება. მე სწორედ ვერაფერი მომიგონია, თუ რა ვქნათ და რა გზას ვეწიოთ!

ამას რომ ლაპარაკობდა, მარიანა სულ უფრო და უფრო ფიცხდებოდა: თან-და-თან კიდევ უფრო მეტი ყვედრება დაუწყო ქმარს, მაგრამ როდესაც დაინახა, მისმა საყვედურებმა ნაკლებად გასჭრა, ისევ გამოიცვალა კილო და უფრო მეგობრულად დაიწყო ლაპარაკი. ფრეიდენბერგმაც ამგვარსავე კილოთი უპასუხა, ასე რომ — ბოლოს მათი უკმაყოფილება მთლად გაჰქრა და ახლა დამშვიდებით მოჰყვნენ მსჯელობას თავის საქმეების შესახებ.

— რაღა გაეწყობა! — სთქვა ბოლოს ფრეიდენბერგმა: — ახლა წარსულის დაბრუნება აღარ შეიძლება, მაგრამ შემდეგში-კი უფრო მეტის წინდახედულობით უნდა მოვიქცეთ.

მათი საუბარიც ამით გათავდა. გვიან, საღამოს, როდესაც მოხუცს მინდსა და მის ბავშვებს ვახშამი მიუტანეს, ფრეიდენბერგიც შევიდა მათს ოთახში. ახლა ის ძლიერ კარგს გუნებაზედ იყო.

— აბა, რას იტყვი, მოხუცო? სთქვა მან ოთახში შესვლისათანავე, სკამი დაიდგა და მინდის გვერდით დაჯდა: — ჩემის ფიქრით, ძლიერ მოხარული უნდა იყო, რომ ბოლოს მაინც იპოვნე შენი შვილი?

— ჰო, რასაკვირველია, ჩემო ბატონო და ხელმწიფეო! — მიუგო მინდმა: — აღარ ვიცი, მადლობაც-კი როგორ შევწირო უფალს ასეთის მოწყალებისათვის!

— უთუოდ, არც მე მიჯავრდები, — განაგრძობდა ცბიერი მხატვარი: — მისთვის, რომ ამ ხნის განმავლობაში უბედურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდლის ნამდვილ მამის მაგიერობა გაუწიე, თავშესაფარი მივეცი და ცოტა რამ კიდეც ვასწავლე, არა?

— ოჰ, რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო, როგორ შემიძლია გაგიჯავრდეთ, როცა ასეთი სიკეთე მიყავით! წამოიძახა მოხუცმა და ცრემლი მოერია თვალებში.—მე ერთი ღარიბი, საწყალი კაცი ვარ და, საუბედუროდ, მეტით არაფრით შემიძლია მადლობა გადაგიხადოთ ყველა თქვენი მოწყალებისთვის, თუ არა მხოლოდ გულწრფელი და მხურვალე ლოცვა-ვედრებით შემოქმედისადმი, რომ დიდხანს გაცოცხლოს და გადღეგრძელოს.

— ოჰ, ჩემთვის ეგეც სრულიად საკმაოა, მოხუცო,—უცბად გააწყვეტინა სიტყვა ფრეიდენბერგმა:—მაგრამ შემდეგში როგორ უნდა მოვიქცეთ? ხომ არ ისურვებ, რომ ფრიდლი დროებით ჩემთან დასტოვო?

— ეგ ჩემთვის ნამდვილი ბედნიერება იქნებოდა, ბატონო,—სთქვა მანდმა:—ვხედავ, თქვენთან კარგად ცხოვრობს, არაფერი აკლია; ყველაფერს აძლევთ, რაც მისთვის საჭიროა. მე-კი ვერაფერს უშოვნი, გარდა იმ მოწყალებისა, რომელსაც კეთილი ადამიანები ბრძანებენ.

ფრეიდენბერგს ძლიერ მოეწონა ასეთი პასუხი, რომელიც სრულიად ეთანხმებოდა მის სურვილსაც.

— ძლიერ მოხარული ვარ, მოხუცო, რომ შვილი ასე გყვარებია და მისთვის სიკეთე გსურვებია, დაიწყო მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ:—მაგრამ, რადგანაც ძლიერ ღარიბი და უმწეო ხარ, მე და ჩემმა მეუღლემ ერთი რამ მოვიგონეთ თქვენთვის. აბა, კარგად დამიგდე ყური!

ამ სიტყვების გაგონებაზე მინდმა კოვზი ძირს დასდო, თვალები მოლაპარაკეს მიაშტერა და სახეზე რაღაც მოუსვენარი და ძალდატანებული ლოდინი გამოეხატა. კატოც თვალგაცეცებით მისჩერებოდა ფრეიდენბერგს: მხოლოდ ფრიდლი სრულიად გულგრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა: ხელში ძვალი ეჭირა, განაგრძობდა მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვრას და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ფრეიდენბერგის სიტყვებს.

— მე და ჩემი ცოლი ძლერ შეგვაწუხა თქვენის უბედურების გაგებამ,— განაგრძობდა ამ დროს ფრეიდენბერგი:— და როდესაც დავინახეთ, თუ რა ძლიერ გიყვართ თქვენ ერთმანეთი, გადავწყვიტეთ, ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ თქვენ ერთმანეთს არ დასცილდეთ; ასე რომ — თუ ისურვებთ, შეგიძლიანთ დარჩეთ ჩვენსას და იცხოვროთ ამ პატარა კოხტა ოთახში. შენ, მოხუცო, შეიძლება, იშოვნო ჩვენსა ისეთი რამ ადვილი სამუშაო, რაც შენს სუსტ ღონეს შეეფერება; კატო ჩემ ცოლს მოეხმარება საოჯახო საქმეებში; რაც შეეხება ფრიდლის, რომელსაც ძლიერ უყვარს ყარანდაშები და საღებავები, იმას შეუძლიან ხატოს, რასაც მოისურვებს. სამაგიეროდ გექნებათ მუქთი ბინა, სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი და ფეხსაცმელი. ყოველ ამას ხვალვე გიყიდით, თუ დარჩენას გადასწყვეტავთ. გარდა ამისა, ცოტა ჯამაგირსაც მიიღებთ.

ეს რომ მოისმინა, მინდს ეგონა, სწორედ სიზმარში ვარო, და დიდხანს ვერ მოახერხა მხატვრის წინადადების პასუხი. ბოლოს, როდესაც ფრეიდენბერგმა თითქმის ხუთჯერ გაუმეორა „თანახმა ხარ, თუ არა ორივე ბავშვით ჩემს ოჯახში დარჩეო?,“ მოხუცი სკამიდან წამოხტა, თავისი გამხდარი ხელები მხატვარს მხრებზე დაადვა და წამოიძახა: „განა ეს შესაძლებელია, ბატონო? ნუ თუ მართლა გსურთ ჩვენი ასე გაბედნიერება? მერმე რისთვის მიგზავნის უფალი ამ სიბერის დროს ასეთს დაუმსახურებელ ბედნიერებას?!

კატო წამოდგა ადგილიდან, მხურვალე მადლობა შესწირა ფრეიდენბერგს და იმავე დროს აღუთქვა, მუდამ თქვენი ერთგული და გამგონე ვიქნებიო.

— მხოლოდ, აი, კიდევ რა უნდა გითხრათ,— დინჯად განაგრძობდა ფრეიდენბერგი:— მე თქვენ პირობა უნდა მომცეთ, ერთი— რომ ჩემს დაუკითხავად არასოდეს სახლიდან არსად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახვიდეთ; და მეორე — არავის უთხრათ, თუ ვინ რას აკეთებ, ან ფრიდლი, ან სხვა, არც ის, რომ ჩვენ ცოტათი ვანებივრებთ ფრიდლის და ყველაფერს უსრულებთ, რომ ესიამოვნოს და გამხიარულდეს. მე მსურს, რომ ჩემი ქველ-მოქმედება არავინ იცოდეს. მე იმ აზრისა ვარ, რომ საზოგადოდ ყოველი კეთილი საქმე კაცმა ჩუმად უნდა ჰქნას და ყველას გასაგებად არ იყვიროს. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, რომ საკმაოდ ერთხელ შევნიშნო, თქვენ ჩემს ბრძანებას არ ასრულებთ, მაშინვე თქვენზე ხელს ავიღებ და სამივეს სახლიდან დაგითხოვთ, — დაათავა ფრეიდენბერგმა.

მინდმა და კატომ, რომლებზედაც ღრმად იმოქმედა მხატვრის გულკეთილობამ, ფიცით აღთქმა დასდვეს, მუდამ წმინდად ავასრულებთ თქვენს ბრძანებას და არავის ვეტყვით, კრინტსაც არ დავსძრავთ იმის შესახებ, თუ ვინ რას ვაკეთებთ. რამდენსამე დღეს რომ დარჩნენ ფრეიდენბერგის სახლში, კატო და მისი მამა ისე შეეჩვივნენ თავის ახალ მდგომარეობას, თითქოს იქ დიდი ხანი ეცხოვროთ და ყოველ დღეს ჰმადლობდნენ უფალს მათზე მოვლენილ ბედნიერებისათვის.

X

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ინგლისელი ბერნში იყო და ვერნეს მაღაზიაში იყიდა სურათი, რომელზედაც გამოსახული იყო კატების მთელი ოჯახობა. მიუხედავად ამისა, ამგვარი სურათები ახლაც ისე ძვირად იყიდებოდა, როგორც წინად; ვერნემ-კი ახლაც არ იცოდა, სად ცხოვრობდა ეს შესანიშნავი მხატვარი.

ამ ხნის განმავლობაში ნიკლასმა კიდეც დაამთავრა სწავლა და გვარიანად ხატავდა, თუმცა ჯერ დიდი სახელი არ ჰქონდა გავარდნილი და დიდი სარგებლობაც არა ჰქონდა. ამიტომ იძულებული იყო, ცოტა დრო ვერნეს მაღაზიაში მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობისათვისაც გადაედო, რომელიც კარგს ჯამაგირს აძლევდა ყმაწვილს და ძლიერაც უყვარდა.

— მე რომ ვიცოდე, იტყოდა ხანდისხან ნიკლასი: — რომ ვიცოდე მხოლოდ, ოდესმე მხატვრობაში ისეთ უაღრესობამდის მიკაღწევ და ისეთი სახელოვანი გავხდები, როგორც ჩვენი ცნობილი „კატის მხატვარი," მაშინ, თქმა არ უნდა, არ მოვიშორებდი სამხატვრო კალამს და დღე და ღამე სულ ვხატავდი. მაგრამ ეჰ!.. ასეთი ბედნიერნი ხომ იშვიათად მოიპოვებიან და მე კი მათს რიცხვს არ ვეკუთვნი.

ასეთ ნაღვლიან ფიქრებს შემდეგ, ნიკლასი საზოგადოდ მოიწყენდა, დაღონდებოდა, ცოტა ხანს იმწუხარებდა, შემდეგ-კი ისევ მხიარულად შეუდგებოდა თავის ჩვეულებრივ საქმეს. ერთხელ, დილით, ვერნეს მაღაზიაში, სადაც ნიკლასი მსახურებდა, შემოვიდა ეგრედ წოდებულის „ახალი ეზო"-ს დირექტორი ჰენრი პესტალოცი. მაღაზიის პატრონმა, რომელიც დიდი ხანია იცნობდა პესტალოცის და ხშირადაც უნახავს, ერთბაშად შეამჩნია, რომ მის სტუმარს, რომელიც შესახედავად ყოველთვის გამხდარი და ფერმკრთალი იყო, დღეს ნამეტნავად ემჩნეოდა დაღალვა და დაქანცვა, თითქოს რაღაც მძიმე დარდებს შეუპყრიაო.

— რა დაგემართათ, ბატონო პესტალოცი? — თანაგრძნობით ჰკითხა ვერნემ: — თქვენ დღეს რაღაც ძლიერ შეწუხებული და მოქანცული მეჩვენებით!

— მართალს ამბობთ: დღეს რაღაც ვერა ვარ ჩემს გუნებაზე, — მიუგო პესტალოციმ: — და საკვირველიც იქნება კაცმა კარგად იგრძნოს თავი, როდესაც ჰხედავს, ყველა მისი გეგმა, ყველა მისი საუკეთესო, გულითადი განზრახვა იმსხვრევა და სულელთა და უვიცთა სასაცილოდ ჰხდება.

— მესმის, რის თქმაცა გსურთ, — სთქვა თავის მხრით ვერნემ: — და გულითა ვწუხვარ, რომ ასე მცირე თანამგრძნობთა რიცხვი ჰყავს თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებას იმ წმინდა საქმეში, როგორიცაა ობოლთ პატრონობა, იმ ობოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა, რომელთაც თქვენა ზრდით და გსურთ სახელმწიფოს-სასარგებლო მსახურებად გაჰხადოთ. ისიც ვიცი, რომ ბევრს არამც თუ თქვენი მისწრაფების გაგება არა სურს, თითქმის ბოროტად იყენებენ თქვენს გულკეთილობას და თქვენდამი სხვების ნდობას ძირს უთხრიან.

— ეს ყველა ასეა, ბატონო ვერნე,—გააწყვეტინა სიტყვა პესტალოცი:—მაგრამ თავი დავანებოთ ამ მოსაწყენ საუბარს; უკეთესი იქნება ის მითხრათ, თუ როგორ სცხოვრობს თქვენი ძმა მხატვარი, როგორაა მისი ჯანმრთელობის საქმე?

— გმადლობთ; ახლა ბევრად უკეთაა,—მიუგო ვერნემ: —გუშინ მწერდა, ამ დღეებში, დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ, ციურიხში დავბრუნდებიო, ასე რომ—ახლა ყოველ დღე ველი.

— ძლიერ კარგი. თქვენი სავაჭრო საქმეები როგორღა მიდის?—განაგრძობდა პესტალოცი.

— არა უშავს-რა, საქმეები ცუდად არ მიდის, მაგრამ ისე კარგად-კი ვერა, როგორც წინად მიდიოდა,—სთქვა ვერნემ.

— რატომ?—გაიკვირვა პესტალოციმ.

— მიტომ რომ—ჩვენი „კატის მხატვარი," რომლის შესახებ უთუოდ თქვენც გაიგონებდით რასმე, ან ავად უნდა იყოს, ან უთუოდ ზარმაცობა დაიწყო, და ეს ერთი ხანია, მისი სურათები იშვიათად მომდის. უწინ-კი თვეში სამი-ოთხი მისი დახატული სურათი მომდიოდა და მოგებასაც კარგს მაძლევდა.

—მისი საცხოვრებელი ადგილი უწინდელივით კიდევ საიდუმლოებითაა ძოცული?—განაგრძობდა პესტალოცი:—უნდა გამოვტყდე, ეგ საიდუმლოება მე როგორღაც არ მომწონს და ჩემთვის ძლიერ დიდი გამოცანაა.

— მეც ჩემის, მხრით არ ვიცი, რა ვიფიქრო ამ საკვირველ საიდუმლოსი,—მიუგო ვერნემ;—ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, რომ ცოტა რამ მაინც გაგვეგო ამ შესანიშნავ მხატვრისა, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ლაპარაკის დროს უცბად გაიღო კარი და მაღაზიაში შემოვიდა ვერნეს ძმა, მხატვარი, რომელიც თავის დიდის ხნის მოგზაურობიდან დაბრუნებულიყო.

— ვიპოვნე! ვიპოვნე!— ხმა მაღლა წამოიძახა შემოსვლისათანავე ხელების შლითა და არავითარი ყურადღება არ მიუქცევია არც ძმ სთვის, რომელიც რამდენისამე თვის განმავლობაში არ ენახა, არც პესტალოცისთვის; თითქმის სალამიც კი არ მიუცია მათთვის.

— ვინ იპოვნე? აღარ იტყვი, ვინ იპოვნე? გაგვაგებინე! —ჰკითხა ძმამ და რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა.

— როგორ თუ ვინ ვიპოვნე? ვინა და შესანიშნავი „კატის მხატვარი!..“ — განაგრძობდა ის და გახარებული ხელებს აქნევდა.

— ნუ თუ მართლა?— ერთხმად წამოიძახეს პესტალოცი, მხატვრის ძმამ და ნიკლასმა, რომელიც თავის მაგიდასთან რაღასაც სწერდა და, როდესაც ეს ახალი ამბავი გაიგონა, გაკვირვებით კალამი ხელიდან გააგდო.

— რა საკვირველებაა!—წამოიძახა თავის მხრით პესტალოცმ.

— ეს-ეს არის ჩვენც იმის შესახებ ვლაპარაკობდით...

— დიაღ, სწორედ რომ საკვირველებაა!—სიტყვა გააწყვეტინა მხატვარმა და მთელს ამ საქმეში ნათლადა სჩანს ღვთის ნება.

— კარგია, სთქვი ჩქარა, ვინ არის?—უჩქარებდა მხატვრის ძმა:—ძლიერ მინდა მალე გავიგო მთელი ეს ისტორია.

— საუბედუროდ, არ შემიძლია დაწვრილებით გადმოგცეთ მისი ისტორია, რადგან კარგად არც მე ვიცი,—შენიშნა მხატვარმა:—ერთი რომ—მე კიდევ არ ვიცი, ვინაა ეგ შესანიშნავი მხატვარი; მაგრამ ის-კი გავიგე, რომ ბერნში სცხოვრობს; ვიცი მარტო სახლი-კი არა, ოთახიც-კი, რომელშიაც ის იმყოფება; ასე რომ—დანარჩენის გაგება ახლა ჩვენთვის ძნელი საქმე აღარაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერმე როგორ გაიგე ყოველივე ეგა?—ეკითხებოდა ვერნე.—დასვა ძმა და სთხოვა დაწვრილებით მოჰყოლოდა ყველაფერს, თუ როგორ იყო საქმე.

— მაშ, კარგი, ყური დამიგდეთ!—დაიწყო ვერნემ, როდესაც სკამზე დაჯდა თავის ძმასა და პესტალოცს შუა; ნიკლასი-კი თავის მასწავლებლის სკამს უკან გაჩერდა.—საქმე ასე იყო: ხუთის დღის წინად ბერნში ყოფნა მომიხდა, განაგრძობდა ჩვენი მოამბე.—სადაც ჩამოვხტი ერთს საუკეთესო სასტუმროში. იქ დამაბინავეს ერთს პატარა, მაგრამ სუფთა ოთახში, რომლის ფანჯრებიც ეზოს გადაჰყურებდა. რადგან მთებში მოგზაურობის შემდეგ, ნამეტანს დაღალვასა ვგრძნობდი, მაშინვე უბრძანე მოეტანა საჭელი და მალე კიდეც დავწექ დასაძინებლად. მაგრამ ვერცა-კი მოვასწარ კარგად დაძინება, რომ უცბად მომესმა საშინელი, გულ-გახეთქილი ყვირილი. რასაკვირველია, მაშინვე წამოვხტი ლოგინიდან, ფანჯარა გამოვაღე და ყური დაუგდე. რამდენსამე წამს შემდეგ, გავარჩიე, რომ ეს ხმა ერთ პატარა სახლიდან მოისმოდა, რომელიც თითქმის სულ განკერძოებით იდგა და ბაღის ერთის მხრით სასტუმროს კედელს სწვდებოდა. როდესაც ყველა ეს გავარკვიე, ჩავიცვი ტანთ, როგორც იყო, ჩამოვირბინე კიბეზე, მივედი ბაღამდის, იქიდან-კი სახლამდისაც. სახლის გარეთ კარი დაკეტილი დამხვდა; მაგრამ, რადგანაც ყვირილი არ წყნარდებოდა, ბევრი არ მიფიქრია, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვკარი წიხლი, შევგლიჯე კარი და გავიქეცი ზევით, საიდანაც ისმოდა ყვირილი „გვიშველეთო.“ როდესაც კიბეზე რამდენიმე საფეხური ავირბინე, უცბად წავაწყდი ახალგაზდა ქალს, რომელიც ძირს ჩამოდიოდა. საცოდავი, ეტყობოდა, ძლიერ შეშინებული იყო; ისე თრთოდა, თითქოს გააცივაო; ცრემლად იღვრებოდა და, როდესაც დამინახა, სასოწარკვეთილებით დაიყვირა: „გვიშველეთ, ღვთის გულისთვის, გვიშველეთო“.

— რა ამბავია? ასეთი რა შეგემთხვათ?—ვკითხე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა და, აი, იმ ოთახში კატა გაგიჟდა, — განგრძობ-
ბდა ქალიშვილი და ხელით იქვე ახლო კარს მანიშნებდა, —
დიასახლისმა არ იცის, რა მოუხერხოს. თუ ღმერთი გრწამთ,
მოეხმარეთ.

როდესაც საქმის გარემოება გავიგე, მაშინვე გავყევ ქა-
ლიშვილს იმ ოთახისაკენ, და იქ შემდეგი სურათი წარმომი-
დგა: საკმაოდ კარგს ოთახში, სადაც მხოლოდ ერთი სანთე-
ლი ენთო, ნახევრად რაღაც წყვდიადი მეფობდა და ეს წყვდი-
ადი ოთახის მთელს მოწყობილებას რაღაც საკვირველ სახეს
აძლევდა. ამ წყვდიადში მაინც შეიძლებოდა შეგემჩნიათ შუა
ხნის მეტად სქელი ქალი. ის იდგა შუა ოთახში, ერთ ხელში
იატაკის საწმენდი ჩოთქი ეჭირა, მეორეში-კი გრძელი ჯოხი
და ხან ერთით, ხან მეორეთი განუწყვეტლივ იგერებდა კატას.
კატა მართლაც გაცოფებული უნდა ყოფილიყო: თავზე ხელ-
აღებული დახტოდა სკამებზე და მაგიდებზე; ხან კედელს ჩა-
მოეკიდებოდა, ხან გაჩერდებოდა შეშინებული დედაკაცის
წინ, რომელიც ჩოთქით და ჯოხით იყო შეიარაღებული, და
ეტყობოდა, მზად იყო ჩაფრენოდა იმ დედაკაცს კლანჭებითა
და კბილებით. ჩემს ბედათ ამ დროს მე თან მქონდა ჩემი სა-
მგზავრო, წამწვეტებული რკინის ბოლოიანი ჯოხი და იმით
მივვარდი კატას. იმედი მქონდა, ერთი შემოკვრით იქვე და-
ვაწვენდი გახელებულ ცხოველს, მავრამ თქვენც არ მომიკვ-
დეთ! დამინახა თუ არა, კატა ფანჯარას დაეჯახა, გატეხა მი-
ნა და უცბად ქუჩაში გავარდა. — ოჰ, დიდება შენდა უფალო!
წარმოსთქვა შეშინებულმა დედაკაცმა, ჩოთქი და ჯოხი ხელი-
დან გააგდო და თითქმის უგრძნობლად სავარძელში ჩაეშვა.
ამასობაში მოვასწარ თვალი მიმომეევლო ჩემს გარშემო. პირ-
ველი საგანი, რომელიც თვალში მომხვდა, იყო სამხატვრო
დაზგა თითქმის გათავებული სურათით. ამ სურათზე გამოსა-
ხული იყო კატა, რომელიც თაგვს უყარაულებდა. სურათს
ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ სახელოვან მხატვრის კა-
ლამს ეკუთვნოდა, რომელიც ცნობილი იყო „კატის მხატვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი“-ს სახელით. ძნელი არ იყო იმის გამოცნობაც, რომ მხატვარი ამავე ოთახში მუშაობდა ამავე სამხატვრო დაზგაზედ. რომ ეს ასე იყო, კიდევ უფრო დავრწმუნდი, როდესაც დავინახე მაგიდაზე დაწყობილი პატარა სურათები და კარანდაშით დახატული ესკიზები. ბოლოს ოთახის მეორე კუთხეში დავინახე იმ კაცის დიდი სურათი, რომელსაც ჩვენთან „კატის მხატვრის“ ნაკეთები სურათები მოჰქონდა. ეს ყველაფერი რომ წარმოვიდგინე და ისიც დავინახე, რომ დიასახლისი ცოტათი გონს მოვიდა, მივუახლოვდი და ვკითხე, სადაა ყველა ამ სურათების მხატვარი მეთქი. მაგრამ ჩემი კითხვა დიასახლისს რისთვისღაც არ მოეწონა და მოკლედ და უგულოდ მიპასუხა, მხატვარი ავადაა და ახლა მისი ნახვა არ შეიძლებაო. შემდეგ მადლობა გადამიხადა დახმარებისათვის და თანაც მაგრძნობინა, ახლა-კი დროა თქვენს გზას გაუდგეთო. უნდა მოგახსნოთ, რომ ამ ქალის ლაპარაკმა და თვით ქალის სახემაც ძლიერ მომშალა და კიდევ უფრო აღმიძრა ცნობის მოყვარეობა. კიბიდან რომ ჩამოვდიოდი, ველარ მოვითმინე და ვკითხე ახალგაზდა ქალს, რომელიც მე მომყვებოდა, ვისი დახატული იყო, მე რომ დაზგაზე სურათი ვნახე.

— ეგ სურათი ჩემის ძმის ნახატია, — ჩურჩულით მიპასუხა და შემდეგ დაუმატა, — ახლა ის საცოდავი ძლიერ ავადააო.

— მერმე, მხოლოდ კატებს ჰხატავს? — ვკითხე მე, რომ კიდევ უფრო დავრწმუნებულიყავ, მართალი იყო თუ არა, რასაც ვფიქრობდი.

— დიაღ, მხოლოდ კატებს, — განაგრძობდა ქალიშვილი: — მაგრამ მე სასტიკად აღკრძალული მაქვს ამის თქმა; მე, თქვენ ისეთი სიკეთე მიყავით, რომ თქვენთან ამის დამალვა არ შეიძლება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — დავემოწმე და შემდეგ ვკითხე, რას უშვრებოდნენ ამ სურათებს.

— სურათები ციურიხში მიაქვთ და იქ ჰყიდიან, — სთქვა ქალიშვილმა: — უწინ საზოგადოდ თვითონ ოჯახის უფროსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰქონდა სურათები, მაგრამ, ის რამდენიმე თვეა, გაქრა, ცვალა და ახლა ეგ საქმე მინდობილი აქვს ერთს მის ნაცნობთაგანს

მე ძლიერ კმაყოფილი დავრჩი, რომ ასე ბევრი რამ გავიგე და კიდევ განვაგრძე ლაპარაკი. ამ ლაპარაკის დროს ცოტ-ცოტათი გავიგე, რომ ქალიშვილს ძლიერ ცუდად ეპრობოდნენ, მაგრამ მაინც მზად იყო ყველაფერი მოეთმინა, ოღონდ-კი დიასახლისი მკაცრად არ მოჰქცეოდა საწყალ მის ძმას.

— მხოლოდ წარმოიდგინეთ, ბატონო,—ამბობდა ქალიშვილი და ლოყებზედ სხვილ ცრემლებს იწმენდდა:—წარმოიდგინეთ, რომ ჩემი ძმა სუსტია, ავადმყოფია; მაინც დილიდან საღამომდის ამუშავებენ, ძლიერ ცუდათ აჭმევენ, სუფთა ჰაერზე სულაც არ უშვებენ და ყველა ეს, რასაკვირველია, სიძუნწით მოსდით. თუმცა ოჯახის უფროსის სიცოცხლეშიაც მხიარული ცხოვრება არა ჰქონია, მაგრამ ისეთი საშინელი მაინც არ ყოფილა ეს ცხოვრება, როგორც ახლა.

— ჩემი მოსაუბრე, უთუოდ, კიდევ ბევრს სამწუხარო ამბავს გადმომცემდა სახელოვან მხატვრის ცხოვრების შესახებ, მაგრამ მალე მოისმა დიასახლისის ფეხის ხმა და მეც მოუჩქარე ნაბიჯს, რომ ჩემ ახალ ნაცნობისთვის კიდევ არ მიმეყენებინა უსიამოვნება. მაგრამ ჩემთვის ესეც საკმაო იყო: ახლა უკვე ვიცოდი, როგორ მეპოვნა სახელოვანი „კატის მხატვარი.“

— მერმე ყოველივე ეგ რა საოცრად მომხდარა!—შეჰნიშნა პესტალოციმ, რომელიც დიდის ყურადღებით ისმენდა მხატვრის ამბავს.

— დიაღ, სწორედ შეუძლებელია, რომ ამაზედ უფრო გასაოცრად მოეწყოს საქმე!—წარმოსთქვა თავის მხრით ბერნემ, მალაზიის პატრონმა:—ახლა ჩვენ ვიცით, რომ სახელოვანი მხატვარი ბერნში სცხოვრობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და ითმენს ყოველგვარ შევიწროებას თავის ავადმყოფობისა და უფროსების სიხარბის წყალობით, როგორცა სთქვა მისმა დამ,—გააწყვეტინა სიტყვა მხატვარმა ბერნემ: - ამიტომ, ჩემის ფიქრით, ძმაო, ჩვენი მოვალეობაა ბერნში წავიდეთ, პირისპირ ვნახოთ ეგ საოცარი გენიოსი და, თუ საჭიროდ დავინახავთ, შევეწიოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება.

— მაშ, მეც თან წამიყვანეთ, ბატონებო!—ჩაერია პესტალოცი:—მეც მზადა ვარ შევეწიო იმ კაცს ისე, როგორც ყველას, ვინც შემწეობას საჭიროებს. ჩემის ფიქრით, ამ შემთხვევაში, რაც მეტნი ვიქნებით, მით უკეთესია...

— სწორედ, სწორედ!—დაეთანხმა ორივე ძმა და იქვე გადასწყვიტეს, რომ ყველანი, პირველ მოხერხებისათანავე, წასულიყვნენ ბერნს და თან წაეყვანათ ნიკლასიც, რომელსაც ვერნეს ლაპარაკი მეტად ღრმად ჩასწვდა გულში.

XI.

ამ საუბარს შემდეგ, სამი დღე გავიდა. ძლიერ ცხელი დღე იყო: მზე დილიდანვე უწყალოდ სწვავდა ყველაფერს; შუადღისას-კი ისეთი სულის შემხუთავი სიცხე დადგა, რომ ჩასუქებული მარიანა ფრეიდენბერგისა სწორედ მოსასვენებელ ადგილს ვერ პოულობდა და არ იცოდა, რა ექნა; ბოლოს ფანჯარასთან მივიდა, რომელიც ჩრდილოეთისაკენ გაიყურებოდა, და იქ დაჯდა,—იქნება, აქ ცოტათი მაინც გავგრილდეო. მაგრამ ხუთი წამიც არ გასულა, რომ შეშინებულმა მარიანამ შეამჩნია, მის სახლისკენ ოთხი კაცი მოდიოდა; ამათში სამი შუა ხნისაზედ უფროსი იქნებოდა, მეოთხე-კი ჯერ სულ ყმაწვილი იყო.

— ნეტა რად მოდიან ეს კაცები?—გაიფიქრა მარიანამ და მაშინვე მოსცილდა ფანჯარას. ამავე დროს კატოს სასტიკი ბრძანება მისცა, არას გზით კარი არ გაეღო. სანამ მარია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ამ გვარ განკარგულებას იძლეოდა, მოისმა ზარის ერთი ბოლო-
რუნი, ამას მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე.

— აი, ხომ ხედავთ, მოხუცი ტომი სიმართლეს გვეუბნე-
ბოდა, — შენიშნა მხატვარმა ვერნემ თანამგზავრებს, ე. ი. თა-
ვის ძმას, ნიკლსასსა და პესტალოცის: — ნამდვილ სიმართლეს,
როდესაც გვარწმუნებდა, ქალბატონი ფრეიდენბერგი გარე-
შეთაგანს არავის სახლში არ იღებსო. მაგრამ ჩვენ მაინც შე-
ვალთ, თუნდ ეგ ზარი სულაც დაიმსხვრეს.

— მე, სიმართლე მოგახსენოთ, არც ისე დავიჟინებდი
სახლში შესვლას, — სთქვა პესტალოცმ, რომ იმ მოხუც ტო-
მის კიდევ უფრო არ წაექეზებინა ჩემი ცნობის მოყვარეობა
თავის ამბებით ამ ფრეიდენბერგის სახლის საოცარ მოწყობი-
ლების შესახებ: ახლა, მე ვფიქრობ რომ ამ სახლში უსა-
თუოდ რასმე საშინელს, შემაძრწუნებელს დავინახავთ.

აქ ვერნემ ზარს მეოთხედ ჩამოჰკრა და თან დაუმატა: —
იმ საზიზღარ ფრეიდენბერგს არავითარი უფლება არა აქვს
სახლში არ შეგვიშვასო. ამასობაში მარიანა, რომელსაც ერ-
თი მეორეზედ უფრო ძლიერი ზარის ხმა ესმოდა, შიშით
ჰკანკალებდა; ახლა მიხვდა, რომ ეს დაუპატიჟებელი სტუმრე-
ბი მანამდის არ აპირებდნენ წასვლას, სანამ თავის განზრახვას
არ შეასრულებდნენ. როდესაც მეხუთედ მოისმა ზარის ხმა,
წინანდელებზე კიდევ უფრო ძლიერი, მარიანა სასოწარკვეთი-
ლებით წამოვარდა ზეზე და უბრძანა კატოს კარის გაღება.
ამავე დროს ძლიერ ეშინოდა. რომ ყველაფერი ეს ახლობელ
მეზობლებს არ შეეტყოთ.

დიასახლისის ბრძანება რომ ეაიგონა, კატო მაშინვე კა-
რებს მივარდა. ძლივს მოასწრო კარების გაღება და დაუპატი-
ჟებელ სტუმრების დანახვა, რომ სიხარულით შეჰყვირა და
ნიკლასს კისერზე მოეხვია.

— ნიკლასი, ნიკლასი! ჩემი საყვარელი ძმა! იძახდა ქა-
ლიშვილი და მეტის აღელვებისა და სიხარულისაგან თითქმის
სულს ველარ ითქვამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენა ხარ, კატო? შენ აქა ხარ?! გაიკვირვა თავის-მხრით ნიკლასმა, და გადაჰკოცნა თავისი და.

— ოჰ, უფალო, ღმერთო ჩემო! — განაგრძობდა ამასობაში ქალიშვილი და ცრემლად იღვრებოდა: — სწორედ არ მეგონა, რომ ჩვენ ყველა კიდევ ერთად მოვიყრიდით თავს; მხოლოდ ის მაწუხებს, რომ საწყალი მამა ამას ვერ მოესწრო. მერე რა ბედნიერი იქნებოდა! ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდა, შენ რომ ენახე!

შემდეგ კატო მოუყვა ძმას, თუ როგორ მოვიდნენ აქ ისა და მამა, რომელიც, ერთი წელიწადია, რაც გადაიცვალა; როგორ შეჰხვდნენ ფრიდლის და როგორ აწვალებდნენ ამ საცოდავს მას შემდეგ, რაც ფრეიდენბერგი მიწას მიაბარეს.

ამ ამბავმა და ნიკლასისაგან მოულოდნელმა დის ნახვამ ღრმად შეაშფოთა ორივე ძმა ვერნე და პესტალოცი, რომელნიც დაუყოვნებლივ გაეშურნენ ქალბატონ ფრეიდენბერგისკენ.

— ჩვენ მოვედით, — დაიწყო მხატვარმა ვერნემ, როდესაც სასტუმრო ოთახში შევიდნენ და ზრდილობიანად სალამი მისცეს დიასახლისს: — ჩვენ მოვედით აქ, რომ პირადათ გავიცნოთ ის სახელოვანი მხატვარი, რომლის სურათებს დიდი ხანია იცნობს საზოგადოება და ასე ძვირად აფასებს. ჩვენ ვიცით, ქალბატონო, რომ ეს მხატვარი თქვენს სახლში სცხოვრობს და გთხოვთ მისი ნახვის ნება მოგვცეთ.

ვერნეს რომ უსმენდა, მარიანამ კინაღამ გონება დაჰკარგა ჯავრითა და შიშით და სრულიად არ იცოდა, რა ექნა, ეჩვენებინა ფრიდლი გარეშეებისათვის, თუ არა. ბოლოს, როდესაც, უთუოდ, მოისაზრა, რომ ამ შემთხვევაში სხვა გზა აღარ იყო, ხელით ანიშნა მახლობელი ოთახი და ჩუმად სთქვა: „შედით, იქაა!“ ჩვენს ნაცნობებს მეტი განმარტებისათვის აღარ მოუცდიათ, მაშინვე მიაშურეს ნაჩვენებ ოთახს. აღმოჩნდა, რომ ეს იგივე ოთახი იყო, სადაც მოხვდა ვერნე იმ ღირსსახსოვარ საღამოს, კატის გახელების დროს. განსხვავება მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ის იყო, რომ ახლა აქ სინათლე იყო; ჯოხით ფეხ-ქით შეიარაღებულის ქალბატონ ფრეიდენბერგის ნაცვლად-კი, მწვრიანსა და დაგლეჯილს სავარძელში ფერმკრთალი და ავადმყოფი ფრიდლი იჯდა, რომელიც ისეთი გამხდარი და დასუსტებული იყო, რომ ძლივს ინძრეოდა; ამავე დროს ხელში კარანდაში ეჭირა, მუხლებზე ქაღალდი ედვა და ზედ რაღასაც ჰხატავდა. მის წინ იდგა სამხატვრო დაზგა, რომელზედაც სულ ახალი მოხაზული სურათი იდვა, სურათზე მოსჩანდა მკვდარი კატა და ბავშვი, რომელიც კატას თავს დასტიროდა.

ორივე ძმა ვერნები უნებურად აკანკალდნენ, საწყალი ფრიდლის შესაბრალისი სახე რომ დაინახეს, რომელზედაც გამოიხატებოდა ღრმა ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა. პესტალოცის ხომ პირდაპირ ელდა ეცა, ეს საოცარი სურათი რომ დაინახა. მხოლოდ ნიკლასი, რომელმაც კატოსაგან უკვე იცოდა, თუ რა მდგომარეობაში იყო მისი ძმა, სრულიად არ შეშინდა. მაშინვე მივიდა ტანჯულთან, გადაეხვია და ეუბნებოდა:

— ფრიდლი, ჩემო საყვარელო ფრიდლი! ხომ მიცნობ? მე ხომ შენი ძმა ნიკლასი ვარ!

ამის გაგონებაზე ფრიდლიმ რაღაც საოცრად მიაპყრა ძმას თვალები; ეტყობოდა, იცნო, მაგრამ ერთის სიტყვის თქმაც-კი არ შეეძლო და მხოლოდ წუთიერმა მხიარულებამ გაიელვა მის ნახევრად მკვდარ სახეზე.

ამავე დროს, ფრიდლის სახელი რომ გაიგონა, პესტალოციმ მაშინვე იცნო, რომ ეს უბედური, მაგრამ დიდებული მხატვარი მისი ნამოწაფარი იყო, რომელიც რამდენისამე წლის წინად მის სკოლიდან ისე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— მე ვერ მიცნობ, ფრიდლი?—ჰკითხა იმანაც და ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

ამის პასუხად ფრიდლიმ ცოტათი თავი დაიქნია და ერთის წამით სახე კიდევ გაუბრწყინდა.

— ოჰ, ბატონებო, განა შესაძლოა ეს?—სთქვა ვერნემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალაზიის პატრონმა, როდესაც ცოტათი გამოერკვა გაკვირვებისაგან:—შესაძლებელია, რომ ეს საცოდავი კაცი ის დიდებული მხატვარი იყოს, რომლის ნაწარმოებითაც ჩვენ ამდენს ხანს გაკვირვებული ვიყავით?!

— რატომ არა!—მიუგო ღრმად აღშფოთებულმა პესტალოცომ:—ღვთის განგება მიუწდომელია და არ უნდა გვიკვირდეს, რომ მან ასეთი დიდი ნიჭი მისცა ასეთს სუსტსა და უბედურ კაცს, როგორსაც ამ წამში ჩვენს წინა ვხედავთ.

სანამ ვერნე და პესტალოცი ერთმანეთ შორის ამგვარად ლაპარაკობდნენ, ნიკლასი და კატო დაჩოქილნი იყვნენ მომაკვდავ ძმის წინ და ნელა ხელს უსვამდნენ მის ძვალ-ტყავად ქცეულ თითებს მარიანა ფრეიდენბერგი-კი თავის სასტუმრო ოთახში იჯდა.

პესტალოცომ პირველმა შეამჩნია მისი აქ არ ყოფნა და ერთის მხრით გაუკვირდა ეს.

— იცით, ბატონებო, რა უნდა მოგახსენოთ?“—სთქვა მან:—მე ძლიერ გაკვირვებული ვარ, რომ ეს ქალი ჩვენი მოსვლით ასე უკმაყოფილოა! აგრე რისა ეშინიან, თუ თავს რაშიმე დამნაშავედ არა გრძნობს?!“

— აი, საქმე სწორედ ისაა, რომ, უთუოდ, თავს დამნაშავედა გრძნობს,—სთქვა ვერნემ.

ადვილად შეიძლება,—განაგრძობდა პესტალოცი, ამდენის ხნის განმავლობაში ასე ფრთხილად განგებ მალავდა თავის სახლში ამ საკვირველ გენიოსს. გარდა ამისა, ჩემის ფიქრით, აქ უმთავრესი ადგილი უსინიდისობას უნდა ეჭიროს: უთუოდ, ფრიდლის ნიჭით ყოვლად უსინიდისოდ და უნამუსოდ სარგებლობდნენ, უსპობდნენ თავისუფლებასა და ჯანმრთელობას, და დიდი ცოდვა მიუძღვით ამ საცოდავ უპატრონო ქმნილების წინაშე, რომელიც ახლა სამარის კარის წინა სდგას.

— დიაღ, მისი დღენი, ეტყობა, უკვე დათვლილია,—სთქვა თავის მხრით ვერნემ:—ჩვენ ძლიერ გვიან მოვედით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ—ძლიერ გვიან გავიგეთ მისი ბინა და აღარ შეგვიძლია პირადად რითიმე დავეხმაროთ.

— მაგრამ ეს საქმე, ჩემის ფიქრით, ასე უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ,—განაგრძობდა მხატვარი ვერნე.

— ეს გენიოსი მხატვარი, როგორც ვიცით, თავის სურათებით დიდ ფულს შოულობდა; მთელ ამ ფულს ფრეიდენბერგები უსინიდისოდ ისაკუთრებდნენ და საოცრად გამდიდრდნენ; ამავე დროს კი საცოდავ მხატვარს აუცილებელ საჭიროებასაც-კი არ უკმაყოფილებდნენ. მაგრამ — ფრიდლის ხომ, როგორც იცით, ჰყავს ძმა და და, რომელთაც არავითარი ქონება არა აქვთ. ჩემის აზრით, სიჭიროა მოვიფიქროთ რამ, რომ ხსენებულ და ძმას ერგოს იმ სიმდიდრის ნაწილი მაინც, რომელიც უბედურ მათს ძმას შეუძენია.

— დიაღ, თქვენ მართალს ბრძანებთ, ვერნე! ეგ უსათუოდ უნდა მოვიფიქროთ!—დაეთანხმა პესტალოცი; შემდეგ სამივემ უკანასკნელად შეხედეს მომაკვდავ ფრიდლის და მოხუც ტომის ღვინის სარდაფში დაბრუნდნენ.

აქ ისინი შეჰხვდნენ ბერნის რამდენსამე საპატიო მოქალაქეს და მაშინვე უამბეს ყველაფერი, რაც ფრეიდენბერგის სახლში ენახათ; გადასცეს აგრედვე თავისი სურვილი, რომ სახელოვან მხატვრის შრომით შეძენილ სიმდიდრის ნაწილი მაინც მის და-ძმის სასარგებლოდ გადადებულიყო.

ყველა იქ მყოფს ძლიერ შეებრალა აუტანელის შრომით დატანჯული ფრიდლი, ყველას გული მოსდიოდა ვერაგსა და გაუმაძღარს ფრეიდენბერგებზე, რომელთაც ასე უსინიდისოდ სიცოცხლე მოუსპეს იმ კაცს, ვისის შრომითაც გამდიდრდნენ; მაგრამ ამავე დროს ყველა იმ აზრისა იყო, რომ ამ ჟამად კატოსა და ნიკლასის სასარგებლოდ არაფერი არ გაკეთდებოდა, თუ რომ თვითონ მარიანა ფრეიდენბერგი ნება-ყოფლობათ არ მისცემდა მათ თავის ქონების ნაწილს.

ვერნესა და პესტალოცისაგან რომ გაიგონა ამბავი იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, რაც მათ ნახეს, მოხუცი ტომი ყველაზე უფრო
კვირვებული დარჩა და ახლა ძალაუნებურად უნდა გამოსთხო-
ვებოდა თავის ძველ რწმენას, ვითომც ფრეიდენბერგს ბოროტ-
ი სული ეხმარება სიმდიდრის შეძენაშიო.

— ახლა საქმე ნათლადა სჩანს,—ამბობდა მოხუცი:—
რომ ჩვენს ვერაგს ფრეიდენბერგს უთუოდ სადმე უპოვნია ეს
საცოდავი ყმაწვილი კაცი, როდესაც ჯერ ისევ ბავშვი იყო,
სულ კარ-ჩაკეტილი ჰყოლია, ყველასაგან მალავდა, მუშაობით
ჰქანცავდა, რომ თვითონ პირდაპირ ნიჩბით ეხვეტა ფული.
ჩვენ-კი, სულელები, თავს ვიმტვრევდით და ვერას გზით ვერ
მიმხვდარვიყავით, საიდან უჩნდებოდა ფრეიდენბერგს ეს ბარა-
ქა; თურმე ხედავთ, საქმე როგორ ყოფილა!—თავის ქნევით
დაათავა მოხუცმა.

სანამ მოხუცი ტომის ღვინის სარდაფში ასეთი ლაპარა-
კი იყო ფრეიდენბერგისა და ფრიდლის შესახებ, საბრალო
ტანჯულმა უკვე სული განუტევა. გარდაიცვალა წყნარად, და-
მშვიდებით იმავე სავარძელზე, რომელზედაც ვერნემა და პე-
სტალოციმ ჰნახეს. საცოდავს ხელში კარანდაში შერჩენოდა.
მეორე დღეს მოჰხდა ფრიდლის დასაფლავება, რომელსაც მთე-
ლი ბერნის საზოგადოება დაესწრო და მისი უბრალო საფლა-
ვი სულ ვარდ-ყვავილებით აივსო. ამას გარდა, ძმათა ვერნეებ-
მა და პესტალოციმ თავის მოვალეობადა სცნეს მიცვალებუ-
ლის საფლავზე დაედგათ ძეგლი შემდეგის წარწერით: „აქ გა-
ნისვენებს გვამი გოტფრიდ მინდისა, რომელიც ცნობილი იყო
„კატის მხატვარი“-ს სახელით“.

ჩვენგან აწერილ შემთხვევის შემდეგ ერთი წელი გავიდა
და ბოლოს ვერნეს სურვილიც შესრულდა.

ნიკლასმა და კატომ, რომელნიც ციურიხში ერთად ცხო-
ვრობდნენ, სრულიად მოულოდნელად დიდი სიმდიდრე მი-
იღეს მარიანა ფრეიდენბერგის სიკვდილის შემდეგ, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი თავისი ქონება მათ უანდერძა. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთმა სიმდიდრემ ისინი არ გააფუჭა, როგორც ეს ხშირად ჰხდება ხოლმე. მემკვიდრეობის მიღების შემდეგ, ნიკლასი მუყაითად განაგრძობდა ხატვაში ვარჯიშობას, კატო-კი—მეოჯახეობას. ისინი სიკვდილამდის ერთმანეთს არ მოჰშორებიან და არასოდეს არ ივიწყებენ ღარიბსა და უპატრონო ობლებს; თავისი მწარე ბავშვობა რომ ახსოვდათ,' ყოველის ღონის-ძიებით სცდილობდნენ სხვების გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქებას; ასე რომ—არა ერთი და ორი ბავშვი ლოცვა-კურთხევით იხსენიებდა „ძია“ ნიკლასისა და „დეიდა“ კატოს სახელს, როგორც მათ საზოგადოდ უწოდებდნენ.

დ. ავალიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

† ნინო (ქოზეფინა) ივანეს ასული ქიქოძე.

ოცა დაუფიქრდები და განსჭვრეტ ცხოვრებას, თვალწინ ისეთი მწარე, ბოლმითა და ვარმით სავსე სურათი წარმოგიდგება, რომ უსათუოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდები. რა არის მიზეზი, ვინ ააავსო ცრემლით ქვეყანა?— ადამიანმა, რასაკვირველია,—ადამიანმა, რომელმაც გაიქრო გულში წმინდა სიყვარულის გრძნობა მოძმეთა მიმართ, გახდა თავის კერძო, შურიანი და თავის ერთგული; და თქვენ გულს ეჭვი ეპარება ადამიანის ბუნების სიკეთეში. მაგრამ ამავე დროს, თუ უფრო ღრმად და დაკვირვებით განსჭვრეტთ რთულ ცხოვრებას, დაინახავთ, რომ აქა-იქ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლების მოსიყვარულე გული მანათობელი კანდელია; ისინი მარილი არიან ცხოვრებისა და არა თუ იხსნიან ადამიანს სასოწარკვეთილებისაგან, კიდევაც იმედით ავსებენ და აღფრთოვანებენ. სწორედ ამნაირი სიყვარულით გაშუქებული კანდელი იყო ირგვლივ გულკივობის სიბნელით მოცულ ცხოვრებაში განსვენებული ნინო ივანეს ასული, ანუ როგორც გურიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრედვე მახლობლები ეძახდნენ—ჟიფო (ჟოზეფინა) ქიქოძე. სწორედ ასეთ ადამიანების მეოხებით არის ცხოვრება მიმზიდველი და სასიამოვნო: იმათ შეაქვთ ცხოვრებაში სიცოცხლის ხალისი. ამიტომ არის, რომ ყველასათვის სამწუხაროა ამისთანა ადამიანის დაკარგვა და სწორედ ამიტომაც დასწყვიტა გული და დააღონა ყველა, ვინც იცნობდა, ამ საუცხოვო, იშვიათის გულის პატრონ ადამიანის სიკვდილმა. განსვენებული არ იყო არც გამოჩენილი მწერალი, არც გამოჩენილი მხატვარი, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ცხოვრება ემყარება და ცხოვრების საძირკველი მუდამ ყოფილა და იქნება წყნარი, მშვიდი, ერთგული, პატიოსანი მუშაკი. ჟოზეფინა-კი სწორედ წყნარი, პატიოსანი, ერთგული მოსიყვარულე მუშაკი—ბუნებით აღმზრდელ-მასწავლებელი იყო. 1882 წ. დაასრულა ქუთაისის გიმნაზია. თუ არ ვსცდები, იმავე წელს დაარსდა ოზურგეთში პირველი სამოქალაქო ქალთა სასწავლებელი და, როგორც უკვე ცნობილი და ჭკვიანი ქალი, მიიწვიეს მასწავლებლად. იმ დროდან სიკვდილამდე, სადაც-კი მოუხდა ცხოვრება, სადაც-კი მიაგდო ცხოვრების ჩარხის ტრიალმა, ყველგან, სკოლაში თუ კერძოდ, განუწყვეტლად ეწეოდა მასწავლებლის მძიმე, მაგრამ წმინდა მოვალეობას და თავის მრავალ მოწაფეთა გულში ანთებდა ამ უკვდავ სიყვარულის ლამპარს. მოწაფეთათვის ძვირფასი და საყვარელი მასწავლებელი და ამავე დროს მეგობარი იყო. ჯერ კიდევ ჯან-ღონით და ენერგიით სავსე, 50 წლის ადამიანი გამოესალმა 19 ნოემბერს წუთისოფელს, და ერთსა და ორ მოწაფეს-კი არ დაუღვრია მწარე, წრფელი ცრემლები იმის ცხედარზე.

როგორც ვსთქვი, არ იყო გამოჩენილი მწერალი-მეთქი, მაგრამ საკმაოა წაიკითხოთ იმის მცირეოდენი წერილები, რომლებიც დაისტამბა იმ დროინდელ გაზეთებში, როცა იგი მოსწავლეთ იყო, და ის მრავალი კერძო წერილები, რომლებსაც სწერდა თავიანთ მეგობარ-ნათესავთ და მოწაფეებს, რომ დარწმუნდეთ იმის უტყუარ ნიჭსა და მწერლობის უნარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, გათხოვების შემდეგ, ჟურნალ-გაზეთებში წერაზე ხელი-
უნდა აეღო, მხოლოდ ხანდახან ცხოვრების უსამართლობა
აიძულებდა დაეკლო დრო თავის ოჯახურ მოვალეობისათვის
და დაეწერა გრძნობით გამსჭვალული კორესპონდენცია და,
ლიტერატურის დიდი სიყვარულით გამსჭვალული, იკლებდა
ძილს და სთარგმნიდა მოთხრობებს. უმთავრეს თავ-ს მოვა-
ლეობად მიაჩნდა შვილების აღზრდა და მართლაც რომ
იყო სამაგალითო დედა რვა შვილისა და საუკეთესო მეუღლე-
ამხანაგი მასავით მშრომელ, პატიოსან მუშაკის—მასწავლებ-
ლის გრიგოლ ივანეს ძის ქიქოძისა. მაგრამ ამ მოვალეობამ არ
შთანთქა იგი სავსებით; ამავე დროს იმისი გული ყველასათვის
ღია იყო. ოცა ხედავდით იმის მშვენიერ გულიდან აღმო-
ცენებულ ღიმილს, ისე კარგად გრძნობდით თავს, რომ თვი-
თონაც გულიანად იღიმებოდით და გრძნობდით, რომ თქვენც
კარგი, ჭკვიანი, კეთილი ადამიანი ყოფილხართ, რომ თქვენ
გყვარებიათ ირგვლივ ყველა თავიანთ ღირსება-ნაკლულევანე-
ბით და შეგძლებიათ სიკეთის შეტანა ქვეყანაში, რომ ვალ-
დებული ხართ კიდევაც იშრომოთ და იმოღვაწეოთ მოძმეთა
საკეთილდღეოდ. როცა მასთან იყავით, მთელი იმისი გული
და გულის ყური თქვენკენ იყო მომართული, და რაც საუკე-
თესო თვისებები გქონდათ, იმას იწვევდა ხოლმე თქვენში. აი
რისთვის იყო საყვარელი და ძვირფასი, აი, რისთვის ვტირით
იმის განშორებას.

მაგრამ შენი სული, ტკბილი ღიმილი და სიყვარული
ჩვენთან არის, საყვარელო მასწავლებელო და მეგობარო ჟიფო,
შენი კეთილი სურვილები დათესილია ჩვენს გულში; ვიცი რომ
შენ ეს გრწამდა. მაშ, გრწამდეს ისიც, რომ შენი წმინდა ხსოვ-
ნა საუკუნო იქნება ყველასათვის, ვისაც უყვარს ნამდვილი
სიკეთე ცხოვრებაში. მე კი მადლიერი ვარ ბედისა, რომ ერთ
და იმავე დროს მარგუნა შენთან ცხოვრება და შენი მო-
წაფეობა.

ნინო ნაკაშიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ვ. ლომონოსოვი

(1711—1911)

8 ნოემბერს შესრულდა 200 წელიწადი მას აქეთ, რაც დაიბადა რუსეთის გამოჩენილი პოეტი მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი. ლომონოსოვი დაიბადა სოფელ დენისოვკას, არხანგელსკის გუბერნიაში, რუსეთის ჩრდილოეთად, თეთრის ზღვის პირას. მამა მეთევზე-გლეხი იყო და შვილი ხშირად დაჰყავდა სათევზაოდ. თევზაობა თეთრ ზღვაში, სადაც მთის ოდენა ყინულები დაცურავს, მეტად სახიფათო საქმეა, მაგრამ მამა და შვილი უშიშრად მისდევდნენ თავის ხელობას. ამ გარემოებამ გაამაგრა და, როგორც ფოლადი, ისე გამოაწრთო პატარა ლომონოსოვის ბუნებითაც მტკიცე ხასიათი. ლომონოსოვს თან-და-თან მოემატა გამბედაობა და ადვილად იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას. წერა-კითხვა ლომონოსოვმა დედისაგან ისწავლა. ამ დროს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში სამღვთო სჯულისა და ანგარიშის რამდენიმე წიგნი, აგრედვე მაშინდელი სლავიანური გრამატიკა. როგორც მეტის მეტად ცნობის მოყვარული, ხალისით დაეწაფა ამ წიგნებს, შეიგნო და შეისწავლა კიდეც. მაგრამ ამას არ დასჯერდა: ცნობის მოყვარულობამ და სწავლის ხალისმა იმდენად გაიტაცა ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზდა კაცი, რომ გადასწყვიტა, ყველაფერს ვანაცვალებ ... ნის შეძენასაო და, აი, მართლაც ვხედავთ. 18 წლის ჯაბუკი სტოვებს სახლ-კარს და, დედ-მამის ნება-დაურთველად, მათ დაუკითხავად, გასწევს მოსკოვისაკენ. რადა, რისთვის? მხოლოდ და მხოლოდ სწავლის გულისათვის. მის სოფლიდგან მოსკოვამდე დიდი მანძილია, 1.000 ვერსზე მეტი. როგორ უნდა გაიაროს ამოდენა მანძილი ფეხით, მერე ისიც უგროშ-უკაპეიკოდ? მაგრამ თითქო განგება სწყალობსო, გზაში დაეწევა მოსკოვში მიმავალ ურმებს; დასხენ ამასაც ურემზედ, საჭმელსაც შესთავაზებენ და, რავდენისამე დღის სიარულს შემდეგ, ლომონოსოვი უკვე მოსკოვში ამოჰყოფს თავს. მოსკოვში იმ დროს ერთი საშუალო სასწავლებელი იყო, სადაც იღებდნენ სასულიერო წოდებისა და კეთილშობილთა შვილებს, გლეხებისათვის-კი სასწავლებლის კარები აქაცა და სხვაგანაც დაკეტილი იყო. რა ჰქნას გლეხმა ლომონოსოვმა ამისთანა გარემოებაში? გადასწყვიტა, მოატყუოს და მართლაც მოატყუა სასწავლებლის უფროსი, მღვდლის შვილი ვარ და არა გლეხისა და ნება მაქვს სასწავლებელში შესვლისაო. დაუჯერეს და მიიღეს სასწავლებელში. გვერდთ თვრამეტის წლის ახალგაზდას პატარა შეგირდები მოუსვეს. პატარა ამხანაგები დასცინიან და მასხარად იგდებენ. ამოდენა ვირგლა *) გამხდარხარ და ახლა იწყებ სწავლასო. მაგრამ ლომონოსოვი ხომ შეჩვეულია ჭირს, ახლაც ადვილად იტანს ლამცირებას და სწავლას გაორკეცებულის ძალით ეტანება. ლომონოსოვს არა აქვს საღსარი ცხოვრებისა. აქ სკოლის მთავრობა ეხმარება და აძლევს ცოტაოდენს დახმარებას, დღეში 3 კაპიკს. ამ ფულით (თუმცა მაშინდელ დროში 3 კ. დღევანდელს 30 სჯობდა) პურიც უნდა იყიდოს, შეიმოსოს კიდეც და წიგნისა და ქაღალდისათვისაც გადაანარჩუნოს რამე. თუმცა ამ გაჭირებაში იყო, მაგრამ ლო-

*) ვირგლა—ვეება, დიდი (ამ სიტყვას ხმაროობენ, როცა ვისიმე დაცინვა, დამცირება უნდათ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოსოვი მაინც საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა სასწავლებელში და მშვენივრადაც დაასრულა კურსი. შემდეგ იქიდან გადაჰყავთ სამეცნიერო აკადემიასთან, ახლად დაარსებულ პეტერბურგის გიმნაზიაში. გიმნაზიის კურსსაც მშვენივრად დაასრულებს და ახლა სახელმწიფო ხარჯით იგზავნება საზღვარ გარედ სწავლის განსაგრძობად. საზღვარ გარეთიდგან დაბრუნდა ლომონოსოვი ფრიად განსწავლული და განვითარებული. პეტერბურგის აკადემია დიდის სიამოვნებით იწვევს ჯერ პროფესორის თანაშემწედ და შემდეგ პროფესორად. ამ თანამდებობას ასრულებს სიკვდილამდე და იმსახურებს სახელს საუკეთესო მეცნიერისას.

მაგრამ მეცნიერების გარდა ლომონოსოვი შესანიშნავია კიდევ როგორც პოეტი. მისი ლექსები, წოდებული „ოდებად", ანუ ჩვენებურად რომ ვსთქვათ, „ქებად, ხოტბად", დღევანდელ დროის პოეზიაში თვალსაჩინო ნაწარმოებად არ ჩაითვლება, სამაგიეროდ მაშინდელ დროს საუკეთესო სალიტერატურო განძი იყო. ლომონოსოვმა შეიტანა ლექსთა წერაში ერთნაირი ცვლილება, სახელდობრ, შემოიღო, რუსული ენა რომ მოიხდენს, ისეთი ლექსთ-წყობა. ლექსებს გარდა აქვს ბევრი სხვა მეცნიერული ნაწერებიც, რომელთა შორის შესანიშნავია ნაწერები შემდეგ თემებზე: „საეკლესიო წიგნების მნიშვნელობა რუსულ ენაში", „რუსული გრამატიკა" და სხ.

ამნაირად ლომონოსოვმა მიაღწია უმაღლეს წერტილამდე მაშინდელ დროის განათლებას და, დაჯილდოებული ბუნებრივის ნიჭით, შეიარაღებული ცოდნით, აღსავსე ენერგიით მთელ თავისს სიცოცხლეს ემსახურა სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობას.

როგორც ჰხედავთ, ცივ და მიყრუებულ ქვეყნის უბრალო გლეხის შვილმა, თუმცა არ უწყობდა ხელს გარემოება, არ გაჩნდა არავითარი საშუალება, თუმცა უზომო დაბრკოლება გადაელობა ცხოვრებაში, ბოლოს მაინც მიაღწია საწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელს და შესანიშნავ ადამიანად გადაიქცა *). ამით მან მოგვცა საუკეთესო მაგალითი და დაგვანახვა, თუ რა შესძლებია შრომის მოყვარეობას, ენერგიას და სწავლისადმი უზომო მისწრაფებას.

ნ. კიკალიშვილი.



*) უბრალო გლეხის ბიჭმა, მერე ისიც ხან-გადასულმა, იმ დროს, როცა გლეხების შვილებს მთელს რუსეთის იმპერიაში არც ერთს სასწავლებელში არ იღებდნენ, როცა ყველგან მათ სწავლის კარები დახშული ჰქონდათ, თავი გამოიდო, გადალახა ყველა დაბრკოლება, მშობლების დაუხმარებლივ, თავის-თავად, მარტოდ-მარტო სწავლის გზაც აღმოიჩინა და ბოლოს პირველი რუსის მეცნიერი, სწავლული, პოეტი და მოღვაწეც გახდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმავთულო ტელეგრაფი.

(დასასრული).

ადილისას, 12 დეკემბერს მარკონი იჯდა ფარდულში და ეჭირა ყურთან ტელეფონი, მორთულობასთან შეერთებული. მის წინ იყო მოსაწყობიც, რომლისკენაც გაყვანილი იყო შენობის ფანჯარაზე მავთული მაღლა სივრცეში მფრინავ ფრანიდან. დაბლა ჰლელავდა ზღვა, შემდეგ 3000 ვერსის მანძილზე ინგლისამდე მრისხანე ოკეანეა. გარშემო არავინ იყო; ყველაფერს ჰფარავდა ხშირი, განუჭვრეტელი ბურუსი; — არავის აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ვინმე აკეთებდა რასმე ამისთანა საშინელ დარში. გავიდა ნახევარ საათი სიჩუმეში, ყველანი ყურადღებად იყვნენ გადაქცეულნი და დიდს ლოდინში იყვნენ. უეცრად გაისმა მოსაწყობთან ნაზი კაკუნი მცემელ მილზე. ეს არ იყო ისეთის თრთოლვით მოლოდინებული ნიშანი, რომ უთუოდ, რამ დაემჩნია მილზე. მარკონის სახეზე არავითარი ღელვა არ გამოიხატა. მან წარმოსთქვა მხოლოდ:

— ბ-ნო კემპო, ნახეთ, ხომ არა არის რა მიმღებელზე.

კემპმა მიაქცია ყურადღება ლენტს, რომელზედაც წუთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მკაფიოდ აღიბეჭდა მოულოდინებელი ნიშანი; წერტილი, ასო S. ათი წუთის შემდეგ გამოჩნდა ახალი ნიშანი; ქარი ჰგლეჯდა ფრანს სათავეში; ნიშანი ამის გამო ვერ მოდიოდა ისე სისწორით, მაგრამ 10 წამის შემდეგ ისევ გამეორდა, ეჭვ გარეშე იყო, რომ ეს ნიშნები მოდიოდა ინგლისიდან.

ამოცანა აიღსნა. მაგრამ მარკონი არა ჩქარობდა ქვეყნისათვის თავისი გამარჯვება ემცნო. მთელი შემდეგი დღე გაატარა ნიშნების მიღებაში. ნიშნები ყოველთვის ვერ იბეჭდებოდა მკაფიოდ, რადგან საშინელი ქარი ჰგლეჯდა ფრანს, მაგრამ ახლა გაჰქრა ეჭვი, ახლა შეიძლებოდა გამოცხადებულიყო, რომ სიძნელე დაძლეულ იყო.

როცა მეორე დღეს ტელეგრაფმა ყველას შეატყობინა, მარკონიმ შესძლო შეერთება ინგლისისა ამერიკასთან უმავთულო ტელეგრაფითაო, ბევრმა ეს ამბავი დიდის სიამოვნებით მიიღო, მაგრამ ამასთან ბევრი ეჭვიანობდა და ბევრი ჰკიცხავდა კიდეც. ზოგნი, მით უმეტეს ამხანაგობანი, რომელთაც ზღვის ძირზე უნდა მოეწყოთ მავთულის გაყვანა ამერიკასა და ევროპას შუა, მარკონის მატყუარას ეძახდნენ, ამბობდნენ, ეგ სულ ტყუილია, გვაფრთხობს, ხელს გვიშლისო. მარტო მდაბიო ფერმერები და მეთევზენი იმ ქალაქისა, საცა მარკონი იმყოფებოდა, გაიგეს რა ესა, დიდის ამბით მიეგებნენ და თავისი თანაგრძნობა გამოუცხადეს.

ის აღელვება, რომელსაც იჩენდნენ მარკონის წინააღმდეგ პატრონები წყლის მავთულის გაყვანისა ატლანტიურ ოკეანეზე, ადვილი ასაღსნელია; ამ მავთულის გაყვანა დაჯდა 8 მილ. მან., ამას უნდა დაერთოს მის მუდმივ შესწორებისა და შენახვის ხარჯიც. ამაზე-კი კარგა ფული იხარჯებოდა, რადგან ამხანაგობას უნდა ჰყოლოდა რამდენიმე გემი. ღირებულება-კი მარკონის ტელეგრაფისა ევროპასა და ამერიკას შუა., სულ ბევრი, აღირიცხებოდა 300,000 მან. და ამასთან თითქმის არ იყო საჭირო არავითარი ხარჯი მის შესანახად. ტელეგრაფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირებულების მიხედვით, დეპეშების ფასმაც დაიწია. ინგლისიდან ამერიკაში იღებენ 50 კაპ. სიტყვაში, მარკონიკი ამტკიცებს, რომ მის მოწყობილობით შეიძლება სიტყვაში 2 კ. და ნაკლების გადახდევინება, ე. ი. მისი მოგონებით შეუძლიან ისარგებლოს ღარიბმა კაცმაც.



უმავთულო ტელეგრაფის სადგური ამერიკასა და ევროპას შუა.

მარკონის ტელეგრაფს ცოტაოდენი ნაკლულევანებაც დაჰყვა თან. ამას თითონაც ამჩნევდა და სხვებიც ეუბნებოდნენ. მარკონიც სცდილობდა, აეცილებინა თავიდან ეს ნაკლულევანებანი. აი, სხვათა შორის, რა ნაკლულევანება დააჩნდა: მარკონის ტელეგრაფით არ შეიძლებოდა საიდუმლოს გადაცემა, რადგან ყველანი, ვინც-კი გააკეთებდა ეთერის ტალღების გზაზე თავიანთ მიმღებლებს, შეიტყობდა გადაცემულ ამბებს.

ამის ასაცილებლად მარკონიმ ჯერ გააკეთა შუქის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცემი მინა (რეფლექტორი), რომელიც დევნილა ტალღებს ერთ მხარეს. აღმოჩნდა, რომ ეს მოხერხება გამოდგა ნამდვილი, მაგრამ მცირე მანძილზე. მაგრამ ესეც დიდად სასარგებლო შეიქმნა გემი განიცდის, ვსთქვათ, უბედურებას, გარშემო ხშირი ბურუსია, გემის უფროსმა არ იცის, სად არის გემი ზღვაში. თუ ამ დროს აქვს მარკონის მორთულობა რეფლექტორით და ახლო-მახლო არის ზღვაში კანდელი ან მხსნელთა სადგური, რომელიც ჰგზავნის ამისთანავე მორთულობით ნიშნებს ზღვაში, გემის უფროსს, რეფლეკტორის ნელ-ნელა დატრიალებით, შეუძლიან გაიგოს ალაგი, საცა იმყოფება, და რომელ მხარეს არის ზღვის კანდელი. ცხადია ისიც, რომ გემის უფროსს შეუძლიან მისცეს მხსნელთა სადგურს ნიშანი და სთხოვოს დახმარება.

ამას შემდეგ მარკონი შეუდგა „კილოს“ ტელეგრაფის გაკეთებას. აშკარაა, მაგალითებრ, შემდეგი მოვლენა. თუ გასჭიმავთ რამდენსამე სიმს, რომლებიც იძლევიან ხმას სხვა და სხვა ნოტებისას და ამ სიმებ შორის იქნება მარტო ერთი, რომელიც იძლევა ხმას კამერტონისას, მაშინ, როდესაც თქვენ დაჰკრავთ კამერტონს, დააწყებინებთ წკრიალს, და დასდგამთ გადაჭიმულ სიმებთან, მარტო ერთი მათგანი დაიწყებს წკრიალს, სწორედ, ის, რომელსაც აქვს ერთნაირი ნოტა კამერტონთან. ხმა გახლავთ ჰაერის რყევა—ჰაერის ტალღები. რიცხვი რყევათა წამში საზღვრავს აღნიშნულ ნოტებს. ტალღები, რომლებიც ვრცელდება კამერტონის თრთოლვით, იწვევს სწორედ ამისთანავე ტალღებს შეფარდებულ სიმზე.

რაკი ეს მოისაზრა მარკონიმ და თან ისიც იგულისხმა, ელექტრონი ვრცელდება მხოლოდ ეთერის ტალღებით, რომელთაც აქვთ მეტი რიცხვი კრთოლვისაო, ვიდრე ხმებსაო, განიზრახა გაეკეთებინა თავისი მოსაწყობი ისე, რომ საიდუმლოს გადასაცემადაც გამოსადეგი ყოფილიყო. მარკონიმ მოაწყო ორი მიმღებელი, „მომართული“ ორ კილოზე: ერთს მათგანს შეეძლო მიღება ტალღისა, ვთქვათ 800,000 კრთოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიანისა წუთში, მეორეს — ერთ მილ. ორივე მიმღებლებს ჰქონდათ ერთი მავთული. გადამცემნი მოსაწყობნი იყვნენ მომართულნი ისევ იმ ორ კილოზე. ერთი მათგანი იძლეოდა ტელეგრამას ფრანგულ, მეორე — ინგლისურ ენებზე; ტელეგრამებს იძლეოდნენ ერთ დროს, მაშასადამე, სჩანს, ტალღები, შესაძლოა არეულიყო ერთმანეთში. მაგრამ, საკვირველია რომ ორივე მიმღებლები მკაფიოდ აღნიშნავდა ერთ ტელეგრამას ფრანგულსა და მეორეს ინგლისურ ენაზე.

რადგან ტელეგრაფის „კილოები“ შეიძლება ძლიერ ბევრი იყოს, მათი დაჭერა და გაგება გადაცემულ ამბისა ხდება თითქმის შეუძლებელი, რადგან საჭიროა გამოცნობა ტალღების კრთოლვის რიცხვისა და ამის შეფარდებით მოწყობა მიმღებლისა. მარკონი მაინც ამბობს, ეს სისტემა თხოულობს ბევრ შესწორებასაო, და ირწმუნება, როცა ხალხი გაიგებს, რა უბრალოა ჩემი მოგონება, არ დაჰზოგავს თავის ძალ-ღონეს მის გასაუმჯობესებლადაო.

როცა მარკონიმ წაიკითხა თავისი მოხსენება ლონდონის ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში, პროფესორმა ეიერტონმა, რომელიც გაიტაცა მოხსენებამ, ესა სთქვა:

„მოვა დრო და კაცი, რომელსაც მოუნდება ლაპარაკი თავის ამხანაგთან, აიღებს ხელში თავის ელექტრო-მაგნიტს „ხმას“ მიიტანს პირთან და ჰკითხავს: „ნეგობარო ჩემო, სადა ხარ?“

„და ამხანაგი მისი, რომელსაც ექნება შეფარდებული კილოს ელექტრო-მაგნიტი „ყური“, უპასუხებს: „მიწის ქვეშა ვარ“, შახტაში; ან ვცურავ ოკეანეში... ავედი გიმალაიზე.“

„მაგრამ იქნება არ მივიდეს პასუხი; არ მივიდეს მეორედ შეკითხვის შემდეგაც. მაშინ ეგ იმის ნიშანი იქნება, რომ მეგობარი მოკვდა!“

მოვა ასეთი დრო თუ არა — რასაკვირველია, არავინ იცის. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ახლაც ბევრია იმისთანა, რომელიც გადარჩა გემის უბედურობის დროს სიკვდილსა და წყალში დახრჩობას მხოლოდ მარკონის მოგონების წყალობითა და კიდეც ამიტომ ბევრი ლოცულობს იმის მზესა.

დ. ჯანაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროადის ომი.

ბრძოლა პატროკლოსის ცხედრის გარშემო.

ატროკლოსი მოჰკლესო! დაუყოვნებლად გავრცელდა ეს საზარელი ამბავი ელლინთა რაზმებში. მხედრობის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი სასოწარკვეთილებას მიეცნენ. მენელაოსი გააფთრებულ ლომივით გაეშურა იმ ადგილისაკენ, საცა ელლინთა მთავარსარდალი სასიკვდილოდ დასჭრეს. მენელაოსს განზრახვა ჰქონდა აქილევსის გულითად მეგობრის ცხედარი მტრისათვის მაინც არ დაენებებინა. ევფორბოსმა, დაინახა თუ არა პატროკლოსის ცხედრისაკენ მიმავალი მენელაოსი, დაუყოვნებლივ დასტოვა ტროადელთა რაზმები და ასეთის სიტყვებით მიჰმართა ელლინთა გმირს: „ხალხთა მბრძანებელო, დიდებულო მენელაოს! საჩქაროდ უკან დაბრუნდი! უნდა იცოდე, რომ ნებას არ მოგცემ დიდებული ძეგლი აუგო ამ ხალხის გამანადგურებელს! გირჩევ, ახლავე უკან დაბრუნდე, თუ არ გინდა, რომ სიცოცხლე სამუდამოდ მოგისპო.“

მენელაოსმა მრისხანედ შეჰყვირა: „ღმერთების მამათმთავარო ზევსო! განა მოსათმენია ასეთი თავხედობა და ისიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემ წინააღმდეგ! პანტოოსის თავხედი ვაჟიშვილი ისე გაბედულად მელაპარაკება, თითქო ლომისა ან ვეფხვის ძლიერება ხელთ ჩაეგდოს!“ შემდეგ ელლინთა გმირი მიუბრუნდა ევფორბოს და განაგრძო: „აი სწორედ შენი ძმაც გუშინ ეგრე კადნიერად იქცეოდა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის ველზედ და კიდეც ამიტომ გამოვასალმე სამუდამოდ წუთი სოფელს! იცოდე, რომ შენც ისეთსავე დღეს დაგაყენებ, თუ საჩქაროდ თავს არ უშველი და ბრძოლის ველს არ დასტოვებ.“

„ჩემის ძმის სამაგიერო მე უნდა გადაგიხადო!“ მრისხანედ უპასუხა ევფორბოსმა: „ჭეშმარიტად, დიდ უბედურებად მივიმჩნევ, თუ შენს მოკვეთილ თავს და სისხლით შეღებილ იარაღს ჩვენს მხედრობას არ მივართმევ! შენა ბგონია, ამ სიტყვებს ტყუილ-უბრალოდ ვხარჯავ. აი, ამ წუთმა, ამ შებრძოლებამ შეამოწმოს ჩემის სიტყვების სინამდვილე!“

სთქვა ესა ევფორბოსმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სტყორცნა ლახვარი მენელაოსს. ბასრმა ლახვარმა ვერა დააკლო-რა ელლინთა გმირს. მენელაოსის სქელმა ჯავშანმა წვერი გადუღეჭა ბასრს ლახვარს და ამნაირად უვნებლად გადარჩა ელლინთა გმირი.

მენელაოსმა ახლა-კი ხელ-ახლად ახსენა ღმერთების მამათ-მთავარი ზევსი, შესთხოვა ყოვლად შემძლებელს მტერზედ გამარჯვება და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მარჯვედ სტყორცნა ევფორბოსს ბასრი ლახვარი. მარჯვედ ნატყორცნი ლახვარი ტროადელს გმირს ყელში მოჰხვდა და სასიკვდილოდ განგმირა. ევფორბოსი მოჭრილ ლერწამივით ძირს დაეშვა და ჭრილობისაგან შადრევანივით ამოხეთქილმა სისხლმა ერთიანად შეუღება ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა. უსიტყვოდ და უმოძრაოდ ეგდო ბრძოლის ველზედ ის, ვინც ამ რამდენისამე წუთის წინად ასე თავმომწონედ და გაბედვით სიკვდილს ემუქრებოდა ელლინთა ძლევა-მოსილ გმირს.

ჰეკტორი ჯერ კიდევ პატროკლოსის მეეტლეს დასაჭერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან მისდევდა, როცა ამბავი მოუვიდა, რომ მენელაოსი ევფორბოსი სასიკვდილოდ დასჭრაო. ტროადელების მთავარ-სარდალმა დაუყოვნებლივ თავის განზრახვაზედ ხელი აიღო და ელვის სისწრაფით გაეშურა იმ ადგილისაკენ, საცა მენელაოსი სხვა მეომრებთან ერთად პატროკლოსის ცხედარს გარს ეხვივნენ და აქილევსის იარაღის აყრას სცდილობდნენ. მენელაოსს ჰექტორის დანახვაზედ შიშის ზარმა დაჰკრა; დაუყოვნებლივ პატროკლოსის ცხედარს თავი დაანება და თავის მეომრებით უკან დაიწია. ჰექტორი გაფთრებულ ლომივით მიიჭრა პატროკლოსის ცხედართან, სწრაფად შემოხსნა მიცვალებულს დიდებულ აქილევსის ბრწყინვალე იარაღი და ტროადელ მეომრის ხელით ილიონში გაჰგზავნა.

ელლინთა მხედრობას, მენელაოსის მთავარ-სარდლობით, გადაწყვეტილი ჰქონდა პატროკლოსის ცხედარი მტრისათვის ხელში არ ჩაეგდო და ამიტომ თავგამოდებით რაზმებს აგროვებდნენ მტერთან საჰკვდრო-სასიცოცხლოდ შესაბრძოლებლად. ელლინთა გმირმა, როცა მეომართა შორის შეამჩნია უმფროსი აიანტი, ასეთის სიტყვებით მიჰმართა: „ძვირფასო აიანტ! ჰხედავ ჩვენს უბედურებას? შეუბრალებელმა მტერმა სასიკვდილოდ გაჰგმირა ჩვენი საუკეთესო მთავარ-სარდალი! ესეც ალარ გვაკმარა! ძტერს განზრახვა აქვს პატროკლოსის ცხედარიც ხელიდან გამოგვაცალოს და ტროადელების ძაღლებს მიუგდოს საწიწკნელად! ამაზედ მეტი სირცხვილი შესაძლებელია? რა ამბავი უნდა მიუტანოთ დიდებულს აქილევსს? რა პირით უნდა შევხედოთ უებრო გმირს? სწრაფად შეიარაღდი, ძვირფასო მეგობარო, შეაიარაღე მეომრები და დაუყოვნებლივ გავეშუროთ მტრის წინააღმდეგ, ეგებ დიდებულ გმირის ცხედარი მაინც დაუბრუნოთ ძლევა-მოსილ აქილევსს! თუ ე. ასე ვერ მოვახერხეთ, მერწმუნე, ჩვენი აქილევსთან დაბრუნება ყოვლად მოუხერხებელია! მაშ, ვისწრაფოთ მტრის წინააღმდეგ! ნუ დაგავიწყდება, რომ აქილევსის ბრწყინვალე იარაღი მტერმა უკვე ხელთ იგდო და ილიონში გაჰგზავნა. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ პატროკლოსის ცხედარიც მტერს ხელთ ჩაუვარდა, ჩვენ ძლევა-მოსილ მხედრობას შემდეგ თავი არსად არ გამოეყოფა!

ელლინთა მხედრობამ აიანტისა და მენელაოსის მთავარ-სარდლობით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამზადებულ მტრის საწინააღმდეგოდ გაილაშქრა. ასტყდა საშინელი და ცხარე ბრძოლა პატროკლოსის ცხედრის გარშემო. მენელაოსი და აიანტი გააფთრებულ ლომებივით მძვინვარებდნენ ბრძოლის ველზედ და მტერს შიშის ზარსა სცემდნენ. ჰეკტორი მეტად შეაფიქრიანა ელლინთა მხედრობის თავდავიწყებულმა სიმამაცემ. ტროადელების მთავარ-სარდალი შეუშინდა ელლინთა მხედრობას და უკან დასწია თავისი ლაშქარი.

გლავკოსმა, ტროადელების მოკავშირე სარდალმა, როცა ჰეკტორის უკან დაწევა შეჰნიშნა, საყვედურით მიჰმართა ტროადელების მთავარ-სარდალს:

„ჰეკტორ, თუმცა შეხედულობით ყველაზედ უფრო წარ-ჩინებული ხარ მთელს მხედრობაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გაკლია, რომ ტროადელების წარჩინებულ და მამაც გმი-რად ითვლებოდე! განა მამაც გმირს შეჰშვენის მტერს ზურ-გი უჩვენოს? შენ-კი სიმხდალე გამოიჩინე და იმ ორ მეომარს, რომელნიც პატროკლოსის ცხედრის გარშემო თავდავიწყებით იბრძვიან, ზურგი უჩვენე და ამნაირად გულში გამარჯვების იმედი ჩაუსახე! გმირი რა გმირია, თუ გიჭირებულ მდგომარეო-ბაში გმირობას არ გამოიჩენს! შენ-კი ასეთი გმირობა ვერ მოახერხე და ბრძოლის ველი სამარცხვინოდ ჩვენს მოსისხლე მტერს დაუთმე! ყველა ამას შემდეგ, მე ბრძოლის ველზედ დარჩენა არ შემიძლიან. ყველა ჩემის მეომრით სამშობლოში უნდა დავბრუნდე და მარტოდ-მარტო შენ მოგიხდება სამშო-ბლო ილიონის მტრის მოგერება. ჭეშმარიტად, შენ რომ ისე-თი გმირი იყო, როგორიც ძველ დროში ძლევა-მოსილს ილი-ონს არა ერთი და ორი ჰყოლია, პატროკლოსის უსულო გვამი ამოდენს ხანს უკვე ილიონის ზღუდეთა შორის იქნე-ბოდა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰექტორმა მწუხარედ უპასუხა გლავკოსს: „ჩემო ეგზარქელ მეგობარო, მე-კი მეგონა, რომ შენ უფრო შეგნებით. უცქე როდი საქმის ვითარებას! მე ჩემს დღეში არ მოველოდი, რომ ასეთს ცილს დამწამებდი. განა ჰექტორი და მტრის წინაშე სიმხდალე წარმოსადგენია? სხვამ რომ შემოიტანოს ჩემზედ ასეთი ეჭვი, კიდევ არას ვიტყვი, მაგრამ როცა ჩემი გულითადი მეგობარი სიმხდალეს მიკიჟინებს, ეს-კი სამწუხარო და გულსაკლავია! მტრის წინაშე როდის მომიხრია ქედი, რომ დღეს მოვიხარო? მაგრამ, თუ ელლინთა რაზმები ჩვენს მხედრობაზედ იმარჯვებს, ეს სულ ღმერთების მამათ-მთავრის ზევსის საქმეა. ცისა და ქვეყნის მფლობელის სურვილია, გამარჯვება ელლინთა მხედრობას არგუნოს და მომაკვდავთა შორის განა ვისმე შესწევს ეგოდენი ძალი და მხნეობა, რომ ღმერთების მამათ-მთავრის ესეთს სურვილს წინააღუდგეს! მაგრამ, ჩემო მეგობარო, მე ახლავე ჩვენს მოსისხლე მტერს შევებრძოლები და შენვე თითონ შეამოწმე, თუ რამდენად მხდალი ვყოფილვარ!“

ამ სიტყვებს შემდეგ, ჰექტორმა ელვის სისწრაფით დაურბინა ტროადელების ყველა რაზმს, თვითოეული მეომარი გაამხნევა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, თვითოეულს მათგანს გულში ჩაუნერგა სრული იმედი პატროკლოსის ცხედრის ბრძოლის ველიდან გატაცებისა.

მენელაოსიც თავის მხრით ელლინთა მხედრობის რაზმთა შორის მიმოჰქრიდა და მეომრებს მტრის საწინააღმდეგოდ აქეზებდა. კვლავ ასტყდა საშინელი ბრძოლა პატროკლოსის ცხედრის გარშემო. მეომრები თავდავიწყებით ერთმანეთს ეხლებოდნენ და მათი სამხედრო კიჟინი მაღალს ცის ტატნობს სწვდებოდა. დედამიწა სისხლით მორიალდა და დაჭრილსა და მოკლულ მეომრებს წალეკას უქადდა.

საღამოს ბინდმაც მოატანა. მაინც თვითოეულ მოწინააღმდეგე მხარეს იერიში-იერიშზედ მიჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძნელი გამოსაცნობი იყო, ვინ ვისზედ გაიმარჯვებდა, ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეპატრონებოდა პატროკლოსის გაცივებულს გვამს. ელლინთა მხედრობის მდგომარეობა თან და-თან უფრო საშიში ხდებოდა. ძლევა-მოსილი აიანტი ღრმად დარწმუნდა, რომ მტრის ძლევა შეუძლებელი იყო და ამიტომ ასეთის სიტყვით მიჰმართა მენელაოსს: „დაუყოვნებლივ მოსძებნე ანტილოხოსი, გაჰგზავნე ძლევა-მოსილ აქილევსთან და შეატყობინე მის გულითად მეგობრის პატროკლოსის სასიკვდილოდ დაჭრა. შეიძლება ამ სამწუხარო ამბავმა აიძულოს ძლევა-მოსილი გმირი ჩვენის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად!“

ლომივით გააფთრებულმა მენელაოსმა თვალი მოჰკრა შორეულ რაზმებში თავდავიწყებით მეომარს მოხუც ნესტორის ვაჟიშვილს და ასეთის სიტყვებით მიჰმართა: „ანტილოხოს, ჩემო ძვირფასო მეგობარო! დაუყოვნებლივ დასტოვე ბრძოლის ველი და ძლევა-მოსილ აქილევსს შეატყობინე სამწუხარო ამბავი. უთხარ ელლადის დიდებულს გმირთა გმირს, რომ მტრის შეუბრალებელმა ლახვარმა სასიკვდილოდ განგმირა ჩვენის მხედრობის დამამშვენებელი საუკეთესო მამაცი გმირი პატროკლოსი! სთხოვე, დიდებულს გმირს, დაუყოვნებლივ მოგვეშველოს ბრძოლის ველზედ, თორემ ჩვენი მოსისხლე მტერი მოკლულის ცხედარს წარიტაცებს და ტროადის გაუმაძღარ ძაღლებს გადუგდებს საწიწკნელად!“

პატროკლოსის მოულოდნელმა სასიკვდილოდ დაჭრამ ანტილოხოსს თავზარი დასცა. საბრალოს თვალთაგან ცრემლების გუბე გადმოსქდა. პილოსელ ტკბილ ხმოვან მოხუცის ვაჟიშვილი, ცოტათი გამოერკვა თუ არა, დაუყოვნებლივ ფეხაკრეფით აქილევსის ხომალდისაკენ გაეშურა სამწუხარო ამბის შესატყობინებლად. ძლევა-მოსილი მენელაოსი-კი ელვის სისწრაფით ისევ ბრძოლის ველს დაუბრუნდა იმ აზრით, რომ, სანამ გმირთა-გმირი აქილევსი ელლინთა მხედრობას შემწეობას აღმოუჩენდა, მტერს მედგრად გამკლავებოდა და ძვირფას სარდლის ცხედარი ტროადელების მხედრობას არ გაეტაცნა.

ა. მიქაბერიძე.

აპროსტიხი

(წარმოდ. დადო გეგეჭკორსაგან)

ი, ვაჟკაცი, მამაცი,
ხელობით დიდი მგოსანი;
კაცობით ერში განთქმული,
მხცოვანი პატიოსანი.
არ შეედრება სხვა ვინმე,
გვამშვენებს ვითა სოსანი,
კარგს აზრს ჰქადაგებს პირად მზე
და თვალად — ტანადოსანი.
ი შვიათია დღეს მისებრ
მეჩანგე ჭალაროსანი.

გამოცანა.

(ჩაწერილი ანნა კაბანაძის მიერ).

ერთი რამე ვნახე,
უცნაური სახე,
სულ დავიარე,
კვალი ვერსად ვნახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ციხისძეთლის საჯარო ბიბლიოთეკა * ქუთაისი

ანბანი

ვ” ძ

ვ



ცვ

რ

ო

ცთ

ეგ

ლ

ა

კავშირი

ბიბლიოთეკა

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი